ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 2021 №222 (8751) ფასი: 60 თეთრი



გვ.5

## საფრანგეთში 7 ქართველი ქურდი დააკავეს

## თბილისში საქართველოს ბანკის დაყაჩაღებისთვის 22 წლის გ.ტ. დააკავეს


გვ.5

# „სააკაშვილის გათავისუფლების საკითხს უცხოელი მოსამართლეები ვერ გადაწყვეტენ“


გვ.3

ლია მუხაშავრია: „ჩვენ თუ უცხოელი მოსამართლეებით დავაკომპლექტებთ უზენაეს სასამართლოს, ეს ნიშნავს, რომ ქართველი მოსამართლეები მეორე და მესამეხარისხოვნები არიან“



## ლადო პაპავა: „დიდი ხანია დასარეგულირებელია ონლაინ კაზინოების საქმე“


გვ.4

„პრემიერ-მინისტრის სამივე ინიციატივა მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს“

## „ქართული ოცნება“ თუ უბედურებაა, მეორე უბედურება ნაციონალური მოძრაობაა“


გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „რატომ უნდა დაეტოვებინა ივანიშვილს ქვეყანა? წარმატებული ფეოდალია. რატომ გადავა ისეთი ქვეყნის იურისდიქციაში, სადაც შესაძლოა სანქციები დაუწესონ“

## „კაზინოების მფლობელები მთავრობასა და პარლამენტში არიან“


გვ.2

იაგო ხვიჩია: „განცხადება, რომ სოციალური დახმარებები ხალხს აზარმაცებს, სწორია“

## გაზრდის თუ არა ინალ არძინბა რუსულ გავლენას ოკუპირებულ აფხაზეთში?


გვ.4

## თბილისში ცოცხალი ჯაჭვი მოეწყო


გვ.2


გვ.5

## შს მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზებს ეწვია

ISSN 1987-9385

5 პოლონეთის საზღვრის უკანონოდ კვეთისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

5 ბექა ძამაშვილი: „სტრასბურიდან წერილი მივიღეთ მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა სააკაშვილს გორში გადაყვანა შესთავაზა“

5 შესაძლებელია თუ არა მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადება

6 ნიდერლანდების პრემიერმა კოვიდ-შეზღუდვების მოწინააღმდეგეებს იდიოტები უწოდა

# „კაზინოების მფლობელები მთავრობასა და პარლამენტში არიან“

## იაგო ხვიჩია: „განცხადება, რომ სოციალური დახმარებები ხალხს აზარმაცებს, სწორია“

იაგო ნაცვლიშვილი

**როგორ აფასებს პრემიერის ინიციატივებს, რომლის მიხედვითაც, საბოლოო ჯამში, ონლაინ კაზინოები უნდა გაუქმდეს და ხალხი მუშაობას უნდა მიაჩვიოს? რატომ თვლის, რომ ოპოზიციური მედია „განაცდა“ და რატომ არ აკეთებს იგივე განცხადებებს სახელისუფლებო მედიასთან მიმართებით? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია საუბრობს.**

***— ემხრობით თუ არა პრემიერის ინიციატივას ონლაინ კაზინოებთან მიმართებით?***

— არა, არ ვემხრობი. ეს ჩვეულებრივი პოპულისტური ნაბიჯია, რომელსაც, ჩემი აზრით, კარგი მომავალი არ უწერია.

***— რატომ ფიქრობთ ასე?***

— იმიტომ, რომ თავისი შინაარსით ეს ემსახურება იმას, რომ პარლამენტსა და, ზოგადად, მთავრობაში რომ არიან ხალხი, რომლებსაც კაზინოები ეკუთვნით, ისინი კონკურენტებს იშორებენ. ფიქრობენ, რომ ასეთი გზებით ონლაინ კაზინოებიდან ადამიანებმა უნდა გადაინაცვლონ რეალურ კაზინოებზე და ამ ინტერესების გატარებას ემსახურება. თან შეუძლებელი ამოცანაა თავისი შინაარსით, იმიტომ, რომ მხოლოდ ქართული კაზინოები ხომ არ არსებობს?! არსებობს უცხოური ონლაინ კაზინოებიც და, საბოლოო ჯამში, ეს მიდის იქამდე, რომ ინტერნეტი უნდა გათიშო, თუ გინდა, რომ ასეთი რამე გააკეთო.

შინაარსობრივად ეს არის ონლაინ ვაჭრობა ონლაინ კაზინოებთან, რომ მათ ოპოზიციურ მედიაში არ მიიტანონ რეკლამა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ერთობლიობაში საბოლოო შედეგია ის, რომ არც მორალურად არის გამართლებული და არც არანაირი შედეგი არ ექნება, რადგან ადამიანს თუ თამაში უნდა, ის მაინც იპოვის სათამაშოს.

***— საინტერესო პასაჟი წამოწიეთ, თქვით, რომ ოპოზიციურ მედიაში არ მიიტანონ რეკლამაო. ანუ, ტელევიზიების წინააღმდეგ გალაშქრებაა ხელისუფლების მხრიდან?***

— ეს ვერსიის დონეზე ვთქვი, ცხადია, მაგრამ ეს ვერსია საკმაოდ ლეგიტიმურია, რეალობაში რომ გაატარონ. ფაქტია, რომ ამ კომპანიებს ტელევიზიებში ჰქონდათ რეკლამა და ამ კომპანიების წინააღმდეგ არის გამოცხადებული ბრძოლა და არა კაზინოების, რომლის ინტერესების გამტარებლებიც ბევრია პარლამენტში.

***— ამ მოწვევის პარლამენტშიც არიან კაზინოების ინტერესების გამტარებლები?***



### „ოპოზიციური მედია „ოცნების“ საქმეს აკეთებს“

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, აქ რამდენიმე რაღაცის ერთობლიობაა. ერთი, ეს არის ის, რომ როდესაც რაღაც აკრძალვაზე შემოდის საუბარი, აქ არიან ადამიანები, რომელთაც არ უფიქრიათ ამ თემასთან დაკავშირებით, ტაშს უკრავენ და ჩვეულებრივი პოპულისტური მიზანი გააჩნიათ. მეორე, რომ ვიცით — ამ კომპანიების რეკლამა გადის ოპოზიციურ არხებზე მათ შორის და ესეც შეიძლება იყოს მიზეზი. მესამეა რეალური კაზინოები, მისი მფლობელები და მისი ინტერესების დამცველები სხედან პარლამენტში. ამ სამიდან რომელს რა დოზით გააჩნია გავლენა, მე არ ვიცი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სამივე მათგანი იყოს.

***— ეკონომიკურ პროცესზე როგორ იმუშავებს ამ იდეის განხორციელება? ვგულისხმობ იმას, რომ რა ბედი ელით ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს?***

— მე რასაც ვუყურებ, ეს ონლაინ კაზინოები არ იცავენ საკუთარ ინტერესებს. ისინი ცდილობენ, რომ ეს სიტუაცია რაღაცნაირად „დაალაგონ“ ხელისუფლებასთან. საჯაროდ არც განცხადებებს აკეთებენ და არც არაფერს. არც არავინ ჰყავთ ამის გამო დამცველი. ჩვენ, როგორც პოლიტიკური აქტორები, შეფასებებს ვაკეთებთ, მაგრამ ეს კომპანიები სინამდვილეში თავად უთმობენ ხელისუფლებას, რომ რაღაცნაირად დემონიზებულები იყვნენ და როცა უნდათ, თავზე წამოარტყან. ახლაც ასეა, თავზე წამოარტყეს და დამშვიდების პროცესი იქნება მერე, რომ ასე მოგცემთ შეღავათს და ისეო. სინამდვილეში მიზანი მარტივია — საკუთარი ბიზნესინტერესების „დაკრიშვა“, პოპულისტური ამბავი და მეტი ფულის ამოღებაც თავდაპირველ ეტაპზე.

***— ახსენეთ პოპულიზმი და რისთვის სჭირდებათ ეს, როცა არჩევნები ჩავლილია?***

— არჩევნები კიდევ მოვიდა, აგერ მეორე არჩევნებიც იყო, მაგრამ პოლიტიკური კრიზისი არ განმუხტულა. შესაბამისად, პოპულიზმისთვის ადგილი ჯერ კიდევ არსებობს.

***— პრემიერის მეორე ინიციატივა როგორ გაიგეთ, რომ ადამიანები შრომას უნდა მიაჩვიონ?***

— მე მგონი, შრომას ადამიანები მშობლებმა, განათლებამ და გარემომ რომ ვერ მიაჩვია, იმას პრემიერი ვერ მიაჩვევს, თუმცა მაგ ნაწილში სალი აზრიც იყო, რომ სოციალურმა დახმარებებმა ხალხი გააზარმაცა, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ეს შესრულდება. მაგრამ ეს განცხადება, რომ სოციალური დახმარებები ხალხს აზარმაცებს, სწორია.

***— მაგრამ სწორი ალტერნატივა ხომ უნდა ჩანდეს მათ გარშემო? თუ ადამიანს 150 ლარი აქვს დახმარება, ის შესაძლოა არ მივიდეს 300-ლარიან ხელფასზე სამუშაოდ, მაგრამ თუ ალტერნატივა ექნება, რომ 800-1000 ლარი ჰქონდეს ხელფასი, მაშინაც არ წავა?!***

— არ ვიცი. ამ სიღრმეში შესვლა არ მინდა, ვისი ბრალეულობის წილი რამდენია იმაში, ხალხს სამსახური რომ არ აქვს, ამას ვერ გავარჩევთ. ზოგადად, ფორმულის დონეზე სწორი განაცხადია. იცის ადამიანმა, რომ რაღაც ფულს მიიღებს, რაც იდეალურად არ ჰყოფნის, მაგრამ თავს რაღაცნაირად გაატანინებს და ამიტომ ეზარება მუშაობა. ზარმაცი ადამიანები ამით კიდევ უფრო მეტად ზარმაცდებიან. გასაგებია, რომ ვისაც რაღაცის მიღწევა უნდა ცხოვრებაში, სოციალურ დახმარებაზე არ ზის, მაგრამ დიდი ნაწილი კმაყოფილდება ცოტა შემოსავლით, პლუს არასწორი რეგულირებაა, როდესაც სამსახურს იპოვი, დახმარებას გიხსნიან და ადამიანი ფიქრობს, რომ მოდი, არ დავიწყებ მუშაობას, ეს სოციალურიც არ მომიხსნანო. მთავარი პრობლემა ეს დამოკიდებულებაა, რომელიც სახელმწიფომ შეუქმნა ადამიანებს.

***— ოპოზიციურ მედიაზე განაცხადეთ, რომ „განაცდა“. რატომ გააკეთეთ ეს განცხადება, მაშინ როცა, ინტერვიუს დასაწყისში, პირიქით, ოპოზიციურ მედიას იცავდით ონლაინ კაზინოების კონტექსტში?***

— სადაც ვიღაცას მართალია ვიცავ, მაგრამ აქ ხომ გასაგებია, რომ ე. წ. ოპოზიციური მედია „განაცდა“. ფაქტობრივად, „ოცნებას“ საშუალება მიეცა, რომ მთელი ჩვენი მედია შეეზილა ნაცმოძრაობისთვის. ეს არც ქვეყნისთვის არის კარგი და არც დემოკრატიული პროცესისთვის. მედია ხომ წმინდა ძროხა არ არის, რომ მისი კრიტიკა არ შეიძლებოდეს?! რა ისტერიკაც არის მოწყობილი ძირითად ოპოზიციურ არხებზე, ეს, ჩემი აზრით, სამარცხვინოა. იმ ადამიანებს, ვისაც რაღაცა რეპუტაცია გააჩნიათ, მალე შერცხვებათ თავისი ამორალური საქციელისთვის.

***— პირადად იგრძენით ეს? ეთერი შეგეზღუდათ ან დისკრიმინაცია იგრძენით თუ რატომ გადაწყვიტეთ ეს განცხადება?***

— საბოლოო ჯამში, ყველაფერი ერთად არის, მაგრამ მაგას არ აქვს მნიშვნელობა. ჩვენზე რა გავლენაც მოახდინა ამ ყველაფერმა, მოახდინა დანარჩენ საზოგადოებაზეც. იმიტომ, რომ ფაქტობრივად ქართულ ოპოზიციურ მედიას წელიწადზე მეტია მიშა-ბიძინას ბრძოლის გარდა თემა არაფერი აქვს. ბოლო 2 თვის განმავლობაში რასაც ვუყურებთ, სასაცილო და შეურაცხმყოფელია.

***— ამ განცხადების შემდეგ „ქოცობას“ რომ მოგაწებებენ, არ გეშინიათ?***

— „ქოცობას“ ისედაც გვაწებებენ და მინდა, რომ თქვენი მეშვეობით ვუთხრა საზოგადოებას, რომ ამას აკეთებენ იმიტომ, რომ ჩვენთან გაჩაღებული აქვთ ხელჩართული ბრძოლა. იმიტომ კი არა, რომ „ქოცები“ ვართ, არამედ გვებრძვიან და მინდა, რომ ეს გარკვეული იყოს. ჩვენგანაც პასუხი იყოს საზოგადოებისთვის, რომ ესენი იმიტომ გვებრძვიან, რომ განაცდნენ. ეს ძალიან დამაზიანებელი იქნება მათთვის რეპუტაციულად და ამას აუცილებლად ინანებს ყველა ადამიანი, რომელიც ამაში მონაწილეობს ნებსით თუ უნებლიეთ.

***— სახელისუფლებო მედიასთან არ გაქვთ შენიშვნები?***

— სახელისუფლებო მედიასთან შენიშვნები მაქვს კი არა, იქ ყველაფერი გარკვეულია. მე რომ სახელისუფლებო მედიას საყვედურები გამოვუცხადო, არასერიოზულია. იმიტომ, რომ გასაგებია, ის რომ სახელისუფლებო მედიაა. საუბარია ოპოზიციურ მედიაზე, რადგან ჩემთვის საინტერესო ის არის. მე, როგორც მაყურებელი, უფრო ოპოზიციური მედიის მაყურებელი ვარ და კრიტიკაც უფრო სწორი ოპოზიციური მედიის მიმართ არის, თორემ სახელისუფლებო მედიაში ყველაფერი ცხადია. ოპოზიციური მედია კი თავისი შინაარსით „ქოცურ“ საქმეს აკეთებს. იმიტომ, რომ არასწორ ადამიანზე დადეს ფსონი, მთელი ფსონი მიხეილ სააკაშვილზე დადეს, ახლა წააგებენ ამ ბრძოლას, მერე დაიწყება რეგრესი და შეიძლება ზოგი მათგანი გაკოტრდეს კიდეც. იმიტომ, რომ რეიტინგზე კი არ მუშაობს ეს ხალხი, არამედ რევოლუციის მოწყობაზე. თან რევოლუციის მოწყობის თავიც არ გააჩნიათ ამ ყველაფერთან ერთად. შესაბამისად, როდესაც წააგებენ, მერე დაიწყება კრიზისი და მოსუფთავებული იქნება მთელი პოლიტიკური ველი და მათ შორის, მედია ველიც.

# თბილისში ცოცხალი ჯაჭვი მოეწყო




გუშინ, 23 ნოემბერს, თბილისში თავისუფლების მოედნიდან რესპუბლიკის მოედნამდე ცოცხალი ჯაჭვი მოეწყო.

ცოცხალი ჯაჭვი ვარდების რევოლუციიდან 18 წლისთავზე მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა გააკეთეს. მათ ადგილზე მიტანილი ჰქონდათ წითელი ვარდები, საქართველოს და ევროკავშირის დროშები.

აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ — „საქართველო“, „მიშა“, „თავისუფლება მიშას“.

მათივე თქმით, აქციით მათ კიდევ ერთხელ შეახსენეს ხელისუფლებას, რომ ეს დღე ახსოვთ.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბაჩო დოლიძე განმარტავს, აღნიშნული პერფორმანსით კიდევ ერთხელ აჩვენებენ მსოფლიოს, რომ ეს დღეს კვლავ აქტუალურია.

— საინიციატივო ჯგუფს აქვს ღონისძიება, რომელსაც სიამოვნებით ვუერთდებით. ეს არის პერფორმანსი, რითიც კიდევ ერთხელ მთელ მსოფლიოს ვაჩვენებთ, რომ დღევანდელი დღე, რომელიც ცვლილებებთან და რეფორმებთან ასოცირდება, კიდევ აქტუალურია. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, რომელიც მიახლოებული იქნება ევროპულ სტანდარტთან, რომლისკენაც მივისწრაფვით, — აღნიშნა დოლიძემ.

თავისუფლების მოედნიდან რესპუბლიკის მოედნამდე საავტომობილო გზაზე მოძრაობა თავისუფალი იყო.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

# „სააკაშვილის გვერდით კამერაში უნდა ისხდნენ ივანიშვილი, ღარიბაშვილი, კალაძე და ა.შ.“

— თუ ვსაუბრობთ იმაზე, ვინ არის დამნაშავე ქართველი ხალხის წინაშე და გვინდა, ის ხალხი დავსაჯოთ, მაშინ სააკაშვილის გვერდით კამერაში უნდა იყვნენ ივანიშვილი, ღარიბაშვილი, მერე კალაძე და ა.შ.

ამის შესახებ პარლამენტის ყოფილმა წევრმა, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა გედევან ფოფხაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ განაცხადა.

მისი შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური პროცესის ან ბიძინა ივანიშვილის მძევალი არ უნდა იყოს.

— სააკაშვილის მთავარი მინუსი და დანაშაული მისი მხრიდან ერთპარტიული და ერთპიროვნული რეჟიმის დამყარებაა, რომელიც ხელისუფლების დანაწევრების პრინციპს უგულებელყოფდა. იგივე გააკეთა ივანიშვილმა, ერთი ერთზე. თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, ვინ არის დამნაშავე ქართველი ხალხის წინაშე და გვინდა, ის ხალხი დავსაჯოთ, მაშინ სააკაშვილის გვერდით კამერაში უნდა იყვნენ ივანიშვილი, ღარიბაშვილი, მერე კალაძე და ა.შ. — განაცხადა ფოფხაძემ.

მისთვის სააკაშვილის საქმის განხილვისას უცხოელი მოსამართლეების მოწვევის საკითხი მიუღებელია.

— ჩვენ უნდა დავანებოთ სააკაშვილზე საუბარს თავი და ვადამდელ არჩევნებზე ვისაუბროთ. სააკაშვილის საკითხი ვადამდელ არჩევნებს უნდა დავუკავშიროთ. „ნაციონალური მოძრაობა“ დღის წესრიგს პირიქით აყენებს, ჯერ გადაწყდეს სააკაშვილის საკითხი და შემდეგ ვადამდელი არჩევნებისო, ეს არასწორი თანმიმდევრობაა. ჩვენ ჯერ საქართველოს უნდა მივხედოთ და მერე უკეთეს საქართველოში მივხედავთ სააკაშვილსაც, — განაცხადა ფოფხაძემ.

ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილთან მიმართებით სწორ ნაბიჯებს არ და ველარ გადადგამს.

— „ქართული ოცნების“ მხრიდან სწორი ნაბიჯი ვერანაირად ველარ გადაიდგმება, რადგან ის უკვე იქცა ნაცრისფერ-წითელ იდეოლოგიურ, ფაშისტურ-ბოლშევიკურ ძალად. ამიტომ, „ქართული ოცნება“ სწორ ნაბიჯს ვერ და არ გადადგამს. მისთვის სააკაშვილი არის საშუალება, გაიმართლოს თავი ამომრჩეველთან, რომლისთვისაც 9 წელი არაფერი გაუკეთებია. ამიტომ, ის დღეს ხალხის ყველაზე დაბალ ემოციებზე თამაშობს და ეუბნება, არაფერი გაგიკეთე, არც ერთი დაპირება არ შეგისრულეო. ბიძინა ივანიშვილი კი ამბობს, ყველა დაპირება შევასრულეო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რეალურად რა დაპირება შესრულდა ხალხთან მიმართებით. ერთადერთი, რაც „ქართულ ოცნებას“ შეუძლია თავის ამომრჩეველს და თავის მომ-



ხრეებს შესთავაზოს, ეს არის სააკაშვილი ციხეში.

თუ „ქართული ოცნება“ ამაზე უარს იტყვის, თავის მომხრეებს დაკარგავს. ის თამაშობს შურისძიებაზე, პირად ანგარიშსწორებაზე. ფაქტია, სააკაშვილს საქართველოში მომხრეებიც ჰყავს, მაგრამ რეალურად, უფრო მეტი ავისმოსურნე და მტერი ჰყავს, — განაცხადა ფოფხაძემ.

„ქართულ ოცნებას“ ხალხის გრძნობებზე არ უნდა ეთამაშა, რადგან ეს ამორალური საქციელია.

— პირდაპირ გეტყვით, სააკაშვილი არ მომწონს, არც ის 9 წელი მომწონდა და მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის ის პოლიტიკური არჩევანი, რომელიც ჩემთვის მისაღები იქნება, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ თამაშით და სააკაშვილის პერსონის გაზრდით, ხალხისა და ქვეყნის წინაშე ყველა დანაშაული გადაფარა, — განაცხადა ფოფხაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ თუ უბედურებაა, მეორე უბედურება ნაციონალური მოძრაობაა“

## პაატა ზაქარეიშვილი: „რატომ უნდა დაეტოვებინა ივანიშვილს ქვეყანა? წარმატებული ფეოდალია. რატომ გადავა ისეთი ქვეყნის იურისდიქციაში, სადაც შესაძლოა სანქციები დაუწესონ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესების მიმართ? 23 ნოემბერი იყო გუშინ და სიმბოლური თარიღია_ – ერთი ცხრა წელი, მეორე ცხრა წელი, მოსახლეობას აღარც ერთი უნდა და აღარც მეორე, სად ხედავთ გამოსავალს?***

– გამოსავალს ვხედავ მოსახლეობის აქტიურობაში. ახლახან ჩაიარა არჩევნებმა და მოსახლეობას რომ არ მოსწონდეს ან ერთი ან მეორე, ეს გამოიკვეთებოდა. აშკარად ჩანს, რომ ძალები თანაბარია და მაინც მიდიან და ხმას აძლევენ. გარკვეული პრობლემებით, ჭრიალით თუ ასე შემდეგ, მაინც მოიპოვა ლეგიტიმურობა. ანუ დასავლეთში არავის არ ეპარება ეჭვი, რომ გაიმარჯვეს. არც საზოგადოებაში არ ყოფილა ძალიან დიდი პროტესტი, რომ ქუჩაში გამოსულიყვნენ და პერმანენტულად მდგარიყვნენ ქუჩაში, რომ არჩევნები გაგვიყალბესო. არანაირი მოძრაობები არ იყო რევოლუციისაკენ. მოსახლეობამაც აღიარა გარკვეულწილად, რომ ეს ხელისუფლება შეიძლება არ არის კარგი, მაგრამ ასატანია და დატოვეს. იმიტომ, რომ არჩევანი არ ჰქონდათ სერიოზული, ვერ დაინახეს, ვინ უნდა ყოფილიყო სხვა, რომელი პოლიტიკური ძალა, მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობა. ამ ფონზე, ყველაფერი არის ძველებურად. ვინც ველოდებით ცვლილებებს, მაგალითად მე, ალბათ თქვენც და ვინც ელოდება, მინდა ვუთხრა, რომ ცვლილებები არ იქნება.

***– რატომ არ იქნება?***

– რა პროცესებიც მოდის 2016 წლიდან, ეს გაგრძელდება 2024 წლამდე, მანამდე არაფერი არ შეიცვლება.

***– ანუ ვადამდელი არჩევნები, რასაც ასე ითხოვს ოპოზიცია, თქვენ ფიქრობთ, რომ არ იქნება?***

– ითხოვს რა, დასხდნენ სახლში და ითხოვონ, ან ტელევიზორთან. ხალხი არ ეხმაურება მათ. ძალიან კარგი ვარიანტი იქნებოდა, რომ ჩატარებულიყო ვადამდელი და სამართლიანი არჩევნები. გულახდილად გეტყვით, მეც ძალიან მინდა ვადამდელი არჩევნები. მინდა ნამდვილი, ნორმალური და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს, მაგრამ რა გარანტიაა, რომ ჩატარდება?! მე ვერ ვხედავ ამ ხელისუფლების ხელში და მურუსიძის სასამართლოს პირობებში ნორმალური არჩევნების ჩატარების შანსს. გარდა ოპოზიციის კიდევ უფრო მეტი დისკრედიტაციისა, სხვა არაფერი არ მოხდება, ეს რატომ არ ესმით? რატომ ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც სხედან? ოპოზიციას მივმართავ. თუ არა გაქვთ გარანტია, რომ ჩატარდება სამართლიანი არჩევნები, რატომ ითხოვთ ამას? შედეგი რა იქნება? შედეგი იქნება მოსახლეობის კიდევ უფრო გაღიზიანება. ამ ორმა არჩევნებმა მოგვიტანა კატასტროფულად კორონავირუსის გავრცელება. შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებამდე ყველაფერი კარგად იყო. რას ვთავაზობთ საზოგადოებას? არავინ არ ფიქრობს იმაზე, რას მოიტანს ვადამდელი არჩევნები, შედეგი თუ იგივე იქნება, მაშინ რა საჭიროა?! მე მინდა ვადამდელი არჩევნები, მაგრამ ამ ეტაპზე ამაში ვერ ვხედავ გამოსავალს.

***– ოპოზიციის ერთმა ნაწილმა შეწყვიტა ბოიკოტის რეჟიმი და დაუბრუნდა პარლამენტს. ნაციონალური მოძრაობა კი კვლავ ბოიკოტის რეჟიმში რჩება, მათი მოთხოვნა სააკაშვილის გათავისუფლება და ვადამდელი არჩევნებია. მას არ ეძლევა თავისუფალი სასამართლოს უფლებაო. რა მოლოდინი გაქვთ, როგორ წარიმართება პროცესები? ან რამდენ ხანს***



***დაჰყოფს სააკაშვილი საქართველოში?***

– საქართველოში რამდენ ხანს დაჰყოფს არ ვიცი, მაგრამ ის რაც უფრო დიდხანს დაჰყოფს საქართველოში, მით უფრო დიდხანს იქნება პრობლემები ხელისუფლებისთვის. ამიტომ ხელისუფლებისთვის უმჯობესი იქნება, სააკაშვილი გაასამართლონ რაც შეიძლება სწრაფად, ბუნებრივია, ეს მოხდება მურუსიძის სასამართლოთი და გასამართლებაში ნამდვილად არ ვგულისხმობ სამართლიანობას. გასამართლებაში ვგულისხმობ, დაასრულონ ეს უგვანი პროცესი, ეს სამარცხვინო პროცესი. მაინც სამარცხვინოდ იქცევიან და ჯობს, დაასრულონ ეს პროცესი, თუნდაც სამარცხვინოდ და გაუშვან სააკაშვილი თავის მოქალაქეობრივ სახელმწიფოში, უკრაინაში!

***– აღარ სცალია უკრაინას სააკაშვილისთვისო, ასეა?***

– ვხედავ, რომ უკრაინა უფრო პრინციპული უნდა იყოს. აშკარად ჩანს, რომ დროს წელავენ ისინიც. მათაც არ უხარიათ ამ ადამიანის მიღება. არის ეს მომენტიც. ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა და თუ ის არ მოითხოვა უკრაინამ, მაშინ „ოცნებამ“ ღიად უნდა თქვას, რომ ის გასამართლებულია და იჯდება მურუსიძის უსამართლო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, ბევრს აქვს განცდა, რომ სააკაშვილი დამნაშავეა ბევრ საკითხში, მაგრამ ის შედეგები, რაც დადგა ამ პოლიტიზებული სასამართლოთი, არ შეესაბამება რეალობას. ამიტომ სააკაშვილის ციხეში ყოფნა იქნება უსამართლობა, რაც არ უნდა დამნაშავე იყოს და ღირსი იყოს სამართლიანი სასამართლოსი, მისი ამ ფორმით ყოფნა, უსამართლოდ ჩაითვლება. ეს პროცესები კი გამოიწვევს მუდმივ ბრძოლას.

***– არ გაათავისუფლებენ?***

– რა თქმა უნდა, მის განთავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნურავის გონია, რომ ეს მოხდება ზეწოლით. არც ერთ ჩვენს დასავლელ მეგობარს, არც ამერიკელებს და არც ევროპელებს, ერთხელაც კი არ უთქვამთ, რომ სააკაშვილი არის უდანაშაულო და გამოუშვით. ეს არ უთქვამს არავის. ყველა მოითხოვდა სამართლიანი პირობების შექმნას პატიმარ სააკაშვილისათვის. მართლაც რომ აყრილი იყო მისი ღირსება და ძალიან უსამართლოდ და კანონის დარღვევით, ამ ადამიანს პატივს და ღირსებას ჰყრიდნენ ციხეში, ეს, როგორც იქნა, გამოსწორდა. დასავლეთი კი ამის მეტს არაფერს არ ითხოვდა. ნაციონალურ მოძრაობას კი არა აქვს იმის რესურსები, რომ საზოგადოებაში ააგოროს მუხტი, ხალხისთვის მიუღებელი სააკაშვილის გათავისუფლებისათვის.

***– სააკაშვილი აქ, ციხეში ჩასაჯდომად არ ჩამოსულაო, რა გეგმები აქვს ნაცმოძრაობას? ფაქტია, რომ რევოლუცია აღარ გამოვა.***

– დიახ, არ გამოვა. აშკარაა, რომ ყოველი არჩევნების შემდეგ, პოლიტიკური პარტიები ახდენენ თავისი შედეგების რევიზიას და გადაფასებას. არ იქნებოდა ურიგო, რომ ნაცმოძრა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „სააკაშვილის გათავისუფლების საკითხს უცხოელი მოსამართლეები ვერ გადაწყვეტენ“

## ლია მუხაშავრია: „ჩვენ თუ უცხოელი მოსამართლეებით დავაკომპლექტებთ უზენაეს სასამართლოს, ეს ნიშნავს, რომ ქართველი მოსამართლეები მეორე და მესამეხარისხოვნები არიან“

ნათია ხურცილავა

**იურისტი, ადამიანის უფლებების დამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, რამდენად შესაძლებელია მიხეილ სააკაშვილის საქმე უცხოელმა მოსამართლეებმა განიხილონ.**

***– ქალბატონო ლია, მიხეილ სააკაშვილის მომხრეები, მისი ექიმი პატიმრობის გადავადებაზე საუბრობს. რამდენად მიღებულია სასჯელის გადავადების პრაქტიკა და რა უნდა იყოს მიზეზი?***

– სასჯელის გადავადების პრაქტიკა ნამდვილად არსებობს და მას „უდო“ ჰქვია. ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქიდან არსებობს ე.წ. უდო, რომელიც პირდაპირ პატიმრობის გადავადებას გულისხმობს. რაც შეეხება, რა დროს ხდება ე.წ. უდო აქტუალური – როდესაც პატიმარი ავად არის ან პატიმრობამდე ადამიანი მძიმე ავადმყოფობით, განუკურნებელი სენით არის დაავადებული, შეიძლება პატიმრობა გადავადდეს, სანამ გამოჯანმრთელდება. ეს ჩვეულებრივ მიღებული პრაქტიკაა.

***– ვინ იღებს გადაწყვეტილებას?***

– სასამართლო, მას შემდეგ, რაც წარედგინება სამედიცინო კვლევები, სამედიცინო დოკუმენტაცია. სწორედ სამედიცინო განმარტებებზე დაყრდნობით მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება. თეორიულად ასეთი რამ ნამდვილად არის შესაძლებელი. პრაქტიკულად როგორ მოხდება, ეს უკვე თავად მიხეილ სააკაშვილსა და მის ადვოკატებზეა დამოკიდებული.

***– თქვენ სასამართლო ახსენეთ. საერთაშორისო, მაგალითად სტრასბურის სასამართლოს შეუძლია ამ გადაწყვეტილების მიღება?***

– არა. სტრაბურის სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას ვერ და არ მიიღებს. ეს მხოლოდ ადგილობრივ სასამართლოს შეუძლია.

***– მიხეილ სააკაშვილმა ღიად გამოთქვა***



***სურვილი, რომ სრულფასოვნად ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს რამდენად არის შესაძლებელი, როგორც პატიმარი, ის შეძლებს ამას?***

– რა თქმა უნდა, არა. ვადამდე პირობით განთავისუფლება ეხება იმ პატიმრებს, რომლებსაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა აქვთ და სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მიიღებს მოსამართლე გადაწყვეტილებას განთავისუფლდეს და არა იმიტომ, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთოს.

***– გამოჯანმრთელების შემთხვევაში „უდო“ უკან დაბრუნებას ითვალისწინებს?***

– დიახ. განთავისუფლების შემდეგ ის გადის მკურნალობის კურსს, იკეთებს კვლევებს, ეს წარედგინება სასამართლოს და თუ გამოჯანმრთელდება, პატიმარი უკან ბრუნდება სასჯელის მოსახდელად. ასეთია სასამართლო პრაქტიკა.

***– რაც შეეხება ვადას, განსაზღვრული არის?***

– ვადა განსაზღვრული არ არის, რადგან არავინ იცის, რამდენი დრო დასჭირდება ადამიანს გამოსაჯანმრთელებლად.

***– რაც შეეხება უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლო პროცესს, რომელზეც საუბრობს ოპოზიცია, რომ სწორედ ნეიტრალურმა მოსამართლეებმა მიიღონ გადაწყვეტილება, სააკაშვილი დარჩება პატიმრობაში თუ არა, ასეთი სასამართლო რამდენად არის შესაძლებელი?***

– უცხოელი მოსამართლეები საქართველოში ვერ განახორციელებენ საქმის განხილვას სასამართლოში. ჩვენი კანონმდებლობა მსგავს რამეს არ ითვალისწინებს. არ ცნობს. ამისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები იქნება საჭირო. ჩვენთან, უცხოელმა ადვოკატმაც კი რომ მიიღოს სასამართლო პროცესში მონაწილეობა, ამაზე იუსტიციის სამინისტრომ სპეციალური ნებართვა უნდა გასცეს.

***– რაც შეეხება სასამართლოს უფრო გლობალურ რეფორმას, რომელზეც ოპოზიცია საუბრობს. ისინი აცხადებენ, რომ უზენაესი სასამართლო უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტდეს და ე.წ. ჩამკეტი გახდეს სწორედ ბოლო ინსტანციის სასამართლო. ამისთვის სახელმწიფომ რამდენიმე მილიონიც კი უნდა გაიღოს. როგორია ამ საკითხზე თქვენი პოზიცია?***

– მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. თავის დროზე მე ძალიან დიდი ენერგია და ძალისხმევა ჩავდე, რომ ქართველ ადვოკატებს შესძლებოდათ სტრასბურის სასამართლოში საქმის წაღება და გასაჩივრება. ლონდონელ ადვოკატებსაც კი შეუძლიათ ნებისმიერი საქმე წაიღონ სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და საქმე მოიგონ.

ჩვენ თუ უცხოელი მოსამართლეებით დავაკომპლექტებთ უზენაეს სასამართლოს, ეს ნიშნავს, რომ ქართველი მოსამართლეები მეორე და მესამეხარისხოვნები არიან.

***– ნდობა რომ არ არსებობს?***

– რეფორმის განხორციელების პოლიტიკური ნება თუ იქნება, ნამდვილად მოიძებნებიან ისეთი კვალიფიციური, წესიერი და კეთილსინდისიერი იურისტები, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ იყვნენ სანიმუშო მოსამართლეები. მე, ამ შემთხვევაში პრობლემა პოლიტიკური ნების არარსებობაში მგონია, ვიდრე იურისტების კეთილსინდისიერებაში ან მათ კვალიფიკაციაში.

დღეს, აფრიკის ქვეყნებშიც კი, სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარი ფოთლებით არის შემოსილი, მათაც კი ჰყავთ თავიანთი მოსამართლეები. ამიტომ, მე მგონია, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯი უფრო იქნება.

***– თუმცა, როდესაც კლანად არის მოხსენიებული სასამართლო, როდესაც მოქალაქეს არ აქვს ნდობა მოსამართლის მიმართ, როგორ უნდა მოხდეს ნდობის აღდგენა?***

– არსებობს ნდობის მოპოვების ბევრი შესაძლებლობა. კლანი მე არ შემიქმნია. კლანი შექმნა ხელისუფლებამ. მან შეუწყო ხელი, რომ მოსამართლეები დანაშაულებრივი ბანდის, კლანის სახით ჩამოყალიბებულიყვნენ. თუკი პოლიტიკური ნება არ იქნება, რომ კლანი გაქრეს, არაფერი ეშველება სასამართლოს იმიჯს, ვინც არ უნდა ჩამოიყვანო. პოლიტიკური ნება არის მთავარი. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები სანამ არ გააცნობიერებენ, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია სასამართლო სისტემა, სასამართლო შტო, მანამდე არაფერი არ გამოვა.



# გაზრდის თუ არა ინალ არძინბა რუსულ გავლენას ოკუპირებულ აფხაზეთში?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ფაქტობრივ საგარეო საქმეთა მინისტრად ამ დღეებში დანიშნულ ინალ არძინბას ჯერჯერობით ახალ რანგში არ უაქტიურია.

„ახალი თაობა“ არაერთხელ წერდა, რომ მოსკოვში დაწინაურებულ, აფხაზეთში დაბადებულ და გაზრდილ ინალ არძინბას პერსპექტივაში აფხაზეთის მმართველად მოიაზრებენ. ახალგაზრდა არძინბას გაპრეზიდენტებას ხელს დღემდე უშლის მისი ასაკი. წინა წლებში იყო საუბარი იმაზე, რომ არძინბას მოავლენენ აფხაზეთში, რათა მან წინ წასწიოს უძრავი ქონების საკითხი. როგორც ცნობილია, ოკუპირებულ რესპუბლიკაში უძრავი ქონების შესყიდვის უფლება კანონით მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს აქვთ, რაც მოსკოვის უკმაყოფილებას იწვევს.



აფხაზეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა, ანუ ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდი, ამ საკითხზე მკაფიო პოზიციას არ აფიქსირებს. დროდადრო არის საუბარი ამ საკითხში ლოიალურობის გამოჩენის აუცილებლობაზე. რუსეთის დაფინანსებით დაწყებულია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები და დიდი პრივატიზაცია.

არძინბას დანიშვნას დაემთხვა აფხაზური ოპოზიციის გაერთიანება და იმის დეკლარირება, რომ აფხაზეთის ბუნება, ინფრასტრუქტურა და სხვა აქტივები დაცული უნდა იყოს და დარჩეს აფხაზეთის მოქალაქეების ხელში.

ბჟანია-ანქვაბის ყველაზე რადიკალი ოპონენტები სხვადასხვა პარტიიდან და არასამთავრობო ორგანიზაციიდან, მათ შორის, აფხაზეთის კაზაკთა ერთობა, გაერთიანდნენ ორგანიზაციაში სახელწოდებით „აფხაზეთის სახალხო-პატრიოტული კავშირი“.

მათ მოუწოდეს პროფესიონალებსა და პატრიოტებს, ჩაებნენ „სახელმწიფოს შენარჩუნებასა და რეფორმირებაში“.

თავის ამოცანებს შორის „პატრიოტებმა“ დაასახელეს „აფხაზეთის რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული სუვერენიტეტის დაცვა“, სამართლიანი და სოციალურად დაცული საზოგადოების აშენება.

მათი აზრით, ახლანდელი ხელმძღვანელობა არაპროფესიონალიზმს ამჟღავნებს უძრავი ქონების, ენერგეტიკის, ჯანდაცვისა და სხვა საკითხებში.

ინალ არძინბას გამინისტრებას ასევე დაემთხვა ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერება. რუსულმა სათვისტომომ, აგრეთვე კაზაკთა ორმა გაერთიანებამ ლუგანსკსა და დონბასთან აფხაზეთის ურთიერთობის ორგანიზაციასთან ერთად ატეხეს ხმაური სოხუმის ერთ სკოლაში გამართული ტოლერანტობის გაკვეთილის გამო.

სოხუმის მეორე საშუალო სკოლაში ტოლერანტობის დღეს, 16 ნოემბერს, ჩატარდა სპეციალური გაკვეთილი.

რუსული სათვისტომო დანარჩენ ორგანიზაციებთან ერთად ამ გაკვეთილის გამო შფოთავს და ამას დასავლეთს უკავშირებს.

– შეძრულები ვართ ღია გაკვეთილზე დასავლეთის „ლგბტ“-ს გაუკუღმართებული პროპაგანდის მცდელობით. განსაკუთრებით გვაოცებს ის, რომ ამ რეზონანსულ შემთხვევაზე არ არსებობს განათლების მინისტრის რეაქცია. სასწრაფოდ მისაღებია კანონი, რომელიც აკრძალავს სკოლებში მასალების შეტანას ჰომოსექსუალიზმსა და სქესის შეცვლაზე, – ნათქვამია ავტორების წერილში.

აფხაზეთის რუსული სათვისტომო და სხვები ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება აფხაზურ და სლავურ ტრადიციებს.

რუსული ტრადიციების დაცვისკენ რუსეთის გარეთ მყოფებს მიმართა კრემლის შეფმა პუტინმაც. მისი თქმით, რუსეთის დიპლომატებმა ყურადღება უნდა მიაქციონ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს და საერთო რუსული იდენტობის შენარჩუნებას.

პუტინის სიტყვები აფხაზეთის რეალობაში ნიშნავს ანტიდასავლურობას. სწორედ ანტიდასავლურ კამპანიაში არიან ჩართული აფხაზეთში მცხოვრები რუსები.

ახლახან არძინბას წინამორბედ დაურ კოვეს ევროპელებმა წარმოუდგინეს ევროკავშირის რეგიონული პროგრამა. მისი მიზანია აფხაზეთის მოსახლეობის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტებში.



დაურ კოვეს ეს არ გაუპროტესტებია. სამაგიეროდ, დიდი ორომტრიალი დაიწყო აფხაზეთის საზოგადოების ნაწილში.

ადრე აფხაზებს ბევრჯერ გამოუთქვამთ საყვედური საქართველოს და დასავლეთის სამყაროს მიმართ იმის გამო, რომ აფხაზეთი იზოლაციაში იმყოფება და ახალგაზრდებს არა აქვთ ევროპაში განათლების მიღების უფლება.

ევროკავშირის ახალმა ინიციატივამ რატომღაც აღშფოთება გამოიწვია. იყო კომენტარები (შესაძლოა, რუსეთის დაკვეთით) იმის თაობაზე, რომ აფხაზეთს ევროპა თავს ახვევს თავის ფასეულობებს, რაც ეწინააღმდეგება „აფსუარას“ კოდექსს.

გადაჰყვა თუ არა დაურ კოვე ევროპელებთან კონტაქტებს, უცნობია. ცხადია ის, რომ საქართველოს ამ რეგიონში ერთმანეთს ეჯახება რუსეთისა და ევროპული გავლენა.

კრემლში გამოწრთობილი ინალ არძინბა ახალ თანამდებობაზე მოსკოვის კიდევ ერთი ფხიზელი თვალი და ყური იქნება.

# ლადო პაპავა: „დიდი ხანია დასარეგულირებელია ონლაინ კაზინოების საქმე“

## „პრემიერ-მინისტრის სამივე ინიციატივა მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს“

პროფესორი **ლადო პაპავა** საინფორმაციო სააგენტო Pia.გე-სთან მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დღეს გაჟღერებულ ინიციატივებს აფასებს და აცხადებს, რომ სამივე გადაწყვეტილება მისასალმებელია.



ლადო პაპავა

„პრემიერ-მინისტრის სამივე ინიციატივა მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგან მართლაც ძალიან დიდი ტვირთია სოციალური დახმარების პაკეტი, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობაც კი იმის გამო, რომ არ არის დასაქმებული, იღებს სოციალურ დახმარებას, ანუ ეს ბიუჯეტის ტვირთია.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, შესთავაზოს სამუშაო შრომისუნარიან სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს, ეს არის ძალიან კარგი. პირველ რიგში, ადამიანებს გაუჩნდებათ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის განცდა და ეს ინიციატივა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია“ – აცხადებს პროფესორი ლადო პაპავა.

ლადო პაპავას შეფასებით, ონლაინ კაზინოების საქმე დიდი ხანია დასარეგულირებელია და პრემიერ-მინისტრის განცხადება ამასთან დაკავშირებით მისასალმებელია.

„დიდი ხანია დასარეგულირებელია ონლაინ კაზინოების საქმე. ძალიან ბევრი ადამიანია ამაში ჩართული და, სამწუხაროდ, ბევრი გაუბედურებული ადამიანი არის. პრემიერ-მინისტრის მიდგომა, ეტაპობრივად მოხდეს ბიზნესის ამ სფეროს შეზღუდვა, მისასალმებელია. ჯერ გადასახადების მიზნით, ასაკობრივი ბარიერის დაწესებით და შემდეგ უკვე ამ საქმიანობის საერთოდ აკრძალვით“ – აღნიშნავს პროფესორი.

პროფესორმა ლადო პაპავამ, ფსიქოტროპული საშუალებების აფთიაქებში გაყიდვის კონტროლის დაწესებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სააფთიაქო ბიზნესს სახელმწიფოს მხრიდან მეტი ზრუნვა და რეგულაცია სჭირდება.

„რაც შეეხება ფსიქოტროპულ საშუალებებს, აფთიაქებში მათი გაყიდვის კონტროლის დაწესება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. საერთოდ, სააფთიაქო ბიზნესი არის ბიზნესის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც აუცილებლად სახელმწიფოს მხრიდან მეტი ზრუნვა და რეგულაცია სჭირდება. არც ისე დიდი ხნის წინ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივა იყო, რომ კონკურენცია განვითარდეს სააფთიაქო ბიზნესში, რაც მისასალმებელია. თუ ფსიქოტროპულ საშუალებებზე დამყარდება მეტი კონტროლი, რეგულაცია, რისი საერთაშორისო გამოცდილებაც, რა თქმა უნდა, არსებობს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია“ – დასძენს პროფესორი ლადო პაპავა.

* * *



ანდრია გვიდიანი

ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში **ანდრია გვიდიანის** შეფასებით, აზარტული თამაშები არ ქმნის იმხელა დოვლათს ეკონომიკაში, რამხელა პრობლემებსაც.

მისი აზრით, რომ მნიშვნელოვანია გონივრული რეგულაციების ჩარჩო შეიქმნას აზარტული თამაშებისთვის და საერთაშორისო გამოცდილება იქნეს გაზიარებული.

„პირველ რიგში მისასალმებელია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა. როგორც ვიცით, მთავრობა რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე, შესაბამისად, დღეს უკვე პრემიერმა დააანონსა ცვლილებები და ახალი ხედვა ონლაინ თამაშებთან დაკავშირებით.

ზოგადად ეს პრობლემა ბევრი წლის განმავლობაში დღის წესრიგში დგას. ვიცით, რომ ზოგადად ონლაინ, აზარტულ თამაშებს ბევრი სოციალური თანმხლები პრობლემა ახლავს, ისეთი, როგორიც არის ოჯახების ნგრევა, ვალების აღება მოსახლეობის მხრიდან და სხვა ნეგატიური ფაქტორები.

რაც შეეხება წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, აზარტული თამაშები არ ქმნის იმხელა დოვლათს ეკონომიკაში, რამხელა პრობლემებსაც ქმნის. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ გონივრული რეგულაციების ჩარჩო შეიქმნას აზარტული თამაშებისთვის და საერთაშორისო გამოცდილება იქნეს გაზიარებული ამ თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც აზარტული თამაშების ბრუნვა, რომელიც დღეს არსებობს, საკმაოდ დიდია, რამდენიმე მილიარდს აჭარბებს და მნიშვნელოვანია შესაბამისი რეგულირების ჩარჩოების შედეგად ის თანხები, რომელიც არანაირ ეკონომიკურ დოვლათს არ ქმნის, ჩაერთოს ისევ ეკონომიკურ აქტივობაში.

იცით, რომ ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც მოხდა აზარტული თამაშების რეგულირება, პრაქტიკა გვაქვს, სადაც აზარტული თამაშების სფეროდან თანხებმა გადაინაცვლა ეროვნულ დანაზოგებში და, შესაბამისად, საბანკო არხების გავლით, ეს თანხები კონვერტირდა როგორც ინვესტიცია.

აქედან გამომდინარე, აზარტული თამაშების აკრძალვის შეზღუდვის შედეგად ეკონომიკური აქტივობა გაიზრდება უფრო პროდუქტიული აქტივობის სახით და არა იმ აბსოლუტურად არაფრის მომცემი ბრუნვის სახით, რომელიც დღეს არსებობს ამ თამაშების სახით“ – აცხადებს ანდრია გვიდიანი.

* * *



ირაკლი ქადაგიშვილი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილის** აზრით, ღარიბაშვილის ინიციატივები, რომლებიც ეხება აზარტულ თამაშებს, სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებასა და ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვების გამკაცრებას, დადებით შეფასებას იმსახურებს.

„მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დღეს გაჟღერებული ინიციატივები მნიშვნელოვანია სამივე მიმართულებით. საზოგადოებაში ამის მოთხოვნილება, ვფიქრობ, დიდი ხანია არსებობს. ეს ნაბიჯები უნდა იყოს კარგად გააზრებული, ეფექტიანი და სწორად განხორციელებული. სამივე მიმართულებით პრემიერ-მინისტრის ამ ინიციატივას მხარს ვუჭერ“ – აცხადებს ირაკლი ქადაგიშვილი.

# „ქართული ოცნება“ თუ უბედურებაა, მეორე უბედურება ნაციონალური მოძრაობაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ობამ ჩაატაროს ყრილობა, შეაფასოს რა ხდება და ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება, უნდათ თუ არ უნდათ ეს მელია. უნდა დასრულდეს ეს კინკლაობა, იყოს მელია, არ იყოს მელია. პარტიის სხვადასხვა წევრები სხვადასხვა მესიჯებს ისვრიან საზოგადოებაში, რაც აბნევს საზოგადოებას. მე არა ვარ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი და მათი ამომრჩეველი და საერთოდ არა ვარ კარგი წარმოდგენის ამ პარტიაზე, ნამდვილად. რაც უფრო მალე აორთქლდებიან ქართული პოლიტიკიდან, მით უფრო კარგია, მაგრამ ეს არის ჩემი სურვილი, რეალობა კი სხვა რამეა. რეალობა არის ის, რომ ის ძლიერი პარტიაა და აპირებენ, ქვეყანას პრობლემები შეუქმნან „ქართულ ოცნებასთან“ ერთად. არც „ოცნება“ ჩამოუვარდება ნაცმოძრაობას ანტისახელმწიფოებრივი, არადემოკრატიული მეთოდებით ქვეყნის რყევაში, მაგრამ ეს რეალობა გვაქვს. ერთი უბედურება თუ „ქართული ოცნებაა“, მეორე უბედურება ნაციონალური მოძრაობაა. ეს ორი ძალა ბოროტების გამოვლინებაა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაცმოძრაობას ჰყავს თავისი ამომრჩეველი და მათ წინაშე უნდა ჩამოყალიბდეს, რა უნდათ.

***– „ქართული ოცნება“ ახსენეთ და აქვს თუ არა მმართველ გუნდს პოლიტიკური კრიზისი. დიდი ხანია არ ჩანს ბიძინა ივანიშვილიც. საუბრობენ, რომ მან ქვეყანა დატოვა. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს?***

– არ ჩანს, თორემ ისევ ერევა პოლიტიკაში. რატომ უნდა დაეტოვებინა? ლოგიკა არ მესმის. ამ ადამიანმა ყველაფერი გააკეთა, რაც სურდა. შეიქმნა უსაფრთხო გარემო, შექმნა თავისი შს სამინისტრო, თავისი პროკურატურა, თავისი სასამართლო, თავისი პარლამენტი, ყველაფერი მოირგო. ის არის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ფეოდალი. რატომ უნდა დატოვოს თავისი სამფლობელო და გადავიდეს ისეთი ქვეყნის იურისდიქციაში, სადაც შესაძლოა სანქციები დაუწესონ. აბსურდული თემაა, რომ ივანიშვილმა დატოვოს საქართველო. ის ასე კომფორტულად არასდროს ყოფილა მოწყობილი საქართველოში. ვერ იტანდა პოლიტიკას, გავიდა პოლიტიკიდან, მართავს შიგნიდან. დაურეკავს ხან კობახიძეს და ხან ღარიბაშვილს, მას კი ვერავინ დაურეკავს, თვითონ ურეკავს თუ ჩათვლის საჭიროდ. იდეალური პირობები აქვს შექმნილი. რატომ უნდა დატოვოს საქართველო, არ მესმის. საქართველოში კი არა ნირვანაში ცხოვრობს.

***– როგორ ფიქრობთ, 2024 წლამდე ეს პროცესები ასე გაგრძელდება?***

– კი, თუ ოპოზიცია ვერ ჩამოყალიბდა, ასე გაგრძელდება. ოპოზიცია სრულიად უთმობს არენას „ქართულ ოცნებას“. მთლიანად ჩააგდეს და ჩააფლავეს ადგილობრივი არჩევნები. შეუქმნას ოპოზიციამ მოტივაცია ამომრჩეველს და დაამარცხოს „ოცნება“. თვითონ არიან სუსტები და სუსტი ოპოზიცია ვერ ერევა მასზე სუსტ ხელისუფლებას. სამეგრელომ აჩვენა ამის მაგალითი, რომ თურმე ძალიან იოლად შეიძლება „ქართული ოცნების“ დამარცხება.

# ბექა ძამაშვილი: „სტრასბურიდან წერილი მივიღეთ მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა სააკაშვილს გორში გადაყვანა შესთავაზა“

იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბექა ძამაშვილის განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან ოფიციალური წერილი სამინისტრომ 19 ნოემბრის საღამოს, მას შემდეგ მიიღო, რაც იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაყვანა შესთავაზა.

ბექა ძამაშვილის განცხადებით, აღნიშნულ წერილში სტრასბურის სასამართლომ მომჩივანს შიმშილობის „დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდა“, ხოლო საქართველოს მიუთითა, რომ მკურნალობის პროცესში გაეთვალისწინებინა ექიმთა ჯგუფის მიერ 17 ნოემბერს გამოცემული მოსაზრება.

– სტრასბურის სასამართლოდან აღნიშნული წერილი მივიღეთ 19 ნოემბერს, საღამოს, მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა ბრიფინგი ჩაატარა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის მიზნით სააკაშვილს (რომელიც არ ასრულებდა სტრასბურის სასამართლოს დაჟინებულ მოწოდებას) გორის ჰოსპიტალში გადაყვანა შესთავაზა.

სასამართლომ, აგრეთვე, დააზუსტა, რომ ორივე მხარის მიმართ დაკისრებული ღონისძიებები იყო ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და უპირობო, რითაც მიანიშნა მომჩივანი, რომ შიმშილობის შეწყვეტისთვის რაიმე წინაპირობის დაწესება დაუშვებელი იყო, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ბექა ძამაშვილი განმარტავს, რომ მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანის შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურის სასამართლოს უკვე ორჯერ გაუგზავნა შუალედური ინფორმაცია.

– მას შემდეგ, რაც პატიმარი გადაყვანილია გორის ჰოსპიტალში და წარმატებით მიმდინარეობს მისი შიმშილობის შემდგომი პერიოდის მკურნალობა, ევროპული სასამართლოს მიერ ორივე მხარის მიმართ გაკეთებული მითითებები შესრულებულია. იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურის სასამართლოს უკვე ორჯერ გაუგზავნა შუალედური ინფორმაცია და საბოლოო ინფორმაცია გაიგზავნება დათქმულ ვადაში, – განაცხადა ბექა ძამაშვილმა.

სტრასბურის სასამართლოს 19 ნოემბრის წერილით, ძალაში დარჩა მოწოდება, სააკაშვილს შეეწყვიტა შიმშილობა, ასევე უზრუნველყოფილიყო მისი მკურნალობა 17 ნოემბრის სამედიცინო შეფასების გათვალისწინებით.

აღნიშნული წერილი სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ, გამოაქვეყნა.

„ნეტავ ახლა რას იტყვიან, რომ „ფეიკი“ და არაპროფესიონალურად შესრულებული სამედიცინო დასკვნა გახდა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი?

სტრასბურის სასამართლოს 19 ნოემბერს გამოუცია დროებითი ღონისძიება და სწორედ სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე მითითებით, მიხეილ სააკაშვილისთვის ადეკვატური მკურნალობის მიწოდება დაუვალებია სახელმწიფოსთვის“ – დაწერა სახალხო დამცველმა ფეისბუქში.




# სტრასბურის სასამართლო სააკაშვილის საქმეზე მიღებულ შუალედურ ზომებს 24 ნოემბერს განიხილავს



ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებს პასუხობს.

როგორც სტრასბურის სასამართლოს მიერ გამოგზავნილ წერილშია აღნიშნული, სასამართლო მიხეილ სააკაშვილის საქმეზე მიღებულ შუალედურ ზომებს 24 ნოემბერს, საქართველოს მთავრობისგან ინფორმაციის მიღების შემდეგ განიხილავს.

„ვადასტურებ თქვენგან 2021 წლის 18, 19 ნოემბრის კორესპონდენციების მიღებას, სადაც დადასტურებულია სასამართლოს რეგულაციის №39 წესი გათვალისწინებული თქვენი წინა მოთხოვნა, რომ განმცხადებელი გადაყვანილ იქნას ციხის საავადმყოფოდან მრავალპროფილურ სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში.

თქვენი განცხადებები გადაეცა საქართველოს მთავრობას, რომელსაც ეთხოვა, მათი განცხადებების საპასუხო კომენტარის სასამართლოსთვის 24 ნოემბრამდე წარდგენა.

სასამართლოს პალატის პრეზიდენტმა დამავალა, შემეხსენებინა ორივე მხარისთვის, რომ სასამართლომ გამოიყენა სასამართლოს რეგულაციის №39 წესი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით და მიუთითა შესაბამისი დროებითი ზომები ორივე მხარისთვის: ა) განმცხადებელმა სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს შიმშილობა და ბ) მთავრობამ, 2021 წლის 17 ნოემბრის სამედიცინო დასკვნის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მორგებული იქნება განმცხადებლის ამჟამად შეცვლილ სამედიცინო მდგომარეობასთან.

სასამართლო განიხილავს მითითებულ შუალედურ ზომებს, როგორც კი მოპასუხე მთავრობისგან 24 ნოემბერს დამატებით ინფორმაციას მიიღებს“ – ნათქვამია სტრასბურის სასამართლოს წერილში.

# შესაძლებელია თუ არა მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადება



საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადება სამართლებრივად შესაძლებელია, თუმცა იურისტები თანხმდებიან, რომ ამაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მისაღები.

მათი თქმით, საფუძველი მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ის ტრავმა შეიძლება გახდეს, რაც მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის შედეგად იქნა მიღებული.

იურისტები თვლიან, რომ თუ მესამე პრეზიდენტის საქმეს პოლიტიკური შემადგენელი მოსცილდება, შესაძლებელია, ასეთი გადაწყვეტილება დადგეს.

– მიხეილ სააკაშვილი არის უკანონო პატიმარი, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიმართ მიმდინარეობს პოლიტიკური შურისძიება, რაც დადასტურებულია საერთაშორისო, ყველაზე ავტორიტარული არასამთავრობო ორგანიზაციის ემნესტი ინტერნეიშენალის მიერ. არათუ სასჯელის გადავადება, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაზე უნდა იყოს საუბარი და ჩვენი მოთხოვნა არის, რომ ამ უკანონო, პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას დაესვას წერტილი.

ჩვენ ვნახეთ ამ დღეების მანძილზე, ქართული მართლმსაჯულება როგორ გამოიყურებოდა, ეს არ იყო სასამართლო პროცესები, ეს იყო სადამსჯელო ოპერაციები, ეს იყო ხელისუფლების დავალებების პირდაპირი შესრულება, შესაბამისად, ამ სასამართლოს პირობებში მიღებული სასჯელები არალეგიტიმურია, არაკანონიერია და საერთოდ ეს სასჯელები უნდა დაექვემდებაროს გაუქმებას, – თქვა მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა, ბექა ბასილაიამ.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ თავმჯდომარე ედუარდ მარიკაშვილი განმარტავს, რომ საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განაჩენის აღსრულების გადავადების წესს, რაც ძირითადად ჯანმრთელობის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

# თბილისში საქართველოს ბანკის დაყაჩაღებისთვის 22 წლის გ.ტ. დააკავეს




თბილისში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალის დაყაჩაღება სცადეს. შემთხვევა გუშინ, 23 ნოემბერს, ქეთევან წამებულის გამზირზე მოხდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების ფაქტი აღკვეთეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული გ.ტ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ტ. მიმდინარე წლის 23 ნოემბერს, ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალში, დაყაჩაღების მიზნით შეიჭრა, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა და მიმალვა სცადა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ჩატარებული სამძებრო მოქმედებების შედეგად, იგი შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენიმე წუთში დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

# შს მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზებს ეწვია



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესთან და გიორგი ბუთხუზთან ერთად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველ და მესამე სამმართველოს ეწვია.

ვახტანგ გომელაური სამმართველოს ტერიტორიაზე არსებულ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში გამართულ სადღესასწაულო წირვას დაესწრო და თანამშრომლებს გიორგობა მიულოცა.

წირვის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი პირველ სამმართველოს ბაზაზე არსებულ მდგომარეობას გაეცნო და მიმდინარე საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. მან მოადგილეებთან ერთად ბაზის ტერიტორიაზე არსებული სრული ინფრასტრუქტურა დაათვალიერა. მათ შორის სასადილოში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს გაეცნო.

ვახტანგ გომელაური განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მესამე სამმართველოსაც ესტუმრა, სადაც ბაზის ტერიტორიაზე თანამშრომლების ახლად აშენებული საცხოვრებელი ყაზარმა დაათვალიერა, რომლის სარემონტო სამუშაოებიც უკვე დასრულებულია.

ახლო მომავალში თანამშრომლები თანამედროვე სტანდარტით აშენებულ, საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ შენობაში იცხოვრებენ. ვახტანგ გომელაურმა, ასევე, დაათვალიერა ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზი, რომელიც ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს და აღჭურვილია უახლესი სპორტული ინვენტარით, სავარჯიშო ტრენაჟორებით და საშხაპეებით.

შინაგან საქმეთა მინისტრი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების კვებითი უზრუნველყოფით დაინტერესდა, კვების რაციონს გაეცნო და თანამშრომლებთან ერთად ყაზარმის სასადილოში ისადილა.

ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა, ხოლო ხელმძღვანელ პირებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა.

# ოზურგეთში ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს

ოზურგეთში „ლუკოილის“ ქსელის ბენზინგასამართი სადგური დააყაჩაღეს.

როგორც „მთავარი არხისთვის“ ხდება ცნობილი, წაღებულია თანხა, დაახლოებით 300 ლარი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე, ყაჩაღობის მუხლით დაიწყო.

# საფრანგეთში 7 ქართველი ქურდი დააკავეს




ფრანგულ გაზეთ „ლე პარიზიენში“ გამოქვეყნებულია სტატია სათაურით – „ქართული მაფიის ქურდების ქსელის ლიკვიდაცია“, რომელშიც საუბარია საფრანგეთის პოლიციის მიერ 16-19 ნოემბერს, პარიზის რეგიონში ჩატარებული ოპერაციის დროს, 7 ექჭმიტანილის დაკავებაზე.

ქურდობა ხდებოდა ქართული ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფის წევრების, ე.წ. კანონიერი ქურდების ხელმძღვანელობით.

ყველაფერი კი 2020 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, როცა ვალ-დუაზში ქურდობისა და ძარცვების სერია მოხდა. პოლიციამ საქმის გამოძიების დროს დაადგინა, რომ აღნიშნული ძარცვების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი ეროვნების მქონე პირების ჯგუფთან იყო დაკავშირებული, რომელთა ნაწილი ვალ-დუაზში ცხოვრობდა.

მობილურ დამნაშავეობასთან მებრძოლი პარიზის ცენტრის თანამშრომლებმა, ვალ-დუაზში არსებულ უსაფრთხოების საუწყებო სამსახურთან ერთად, საეჭვო ჯგუფის წევრები გამოავლინეს. მათ თვალთვალი დაუწყეს და შემდეგ სპეციალური ოპერაცია ჩაატარეს მათი დაკავების მიზნით.

გამოძიებამ ცხადყო, რომ დანაშაულში დაკავებული ეჭვმიტანილები, ძირითადად, იპარავდნენ [ავტომანქანების] კატალიტურ კონვერტორებს (გამონაბოლქვი გაზის ნეიტრალიზატორებს), ძარცვავდნენ ბინებს და მაღაზიებს.

მართალია, თითოეული ნივთის ღირებულება დიდი არ იყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მოპარული ნივთების საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვან თანხას მიაღწია.

ქურდობა ხდებოდა ილ-დე-ფრანსის, ვალ-დუაზის, ენისა და ვენის რეგიონებში. მძარცველთა ჯგუფს დაკავებული 7 ეჭვმიტანილი ხელმძღვანელობდა.

# პოლონეთის საზღვრის უკანონოდ კვეთისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

პოლონეთის სასაზღვრო პოლიციამ პოლონეთი-ბელარუსის საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დააკავა. ინფორმაციას ქვეყნის სასაზღვრო პოლიცია ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს.



„კვირას, 21 ნოემბერს, 346-ჯერ სცადეს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა“ – აღნიშნულია განცხადებაში.

სასაზღვრო პოლიცია წერს, რომ მესაზღვრეებმა შემთხვევების აღკვეთა სცადეს და საზღვრის უკანონოდ კვეთაში დახმარებისთვის 3 მოქალაქე დააკავეს.

დაკავებულთა შორის იყო საქართველოს მოქალაქეც.

პოლონეთი-ბელარუსის საზღვარზე დაძაბული ვითარებაა. უამრავი მიგრანტი ევროკავშირში შესვლას ცდილობს. საფრთხის გამო პოლონეთმა საზღვარზე სამხედროების მობილიზება გააძლიერა.

# სვეტლანა ტიხანოვსკაიამ ანგელა მერკელი გააკრიტიკა



ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია აცხადებს, რომ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შორის სატელეფონო საუბრის გამართვა „ძალიან უცნაურია“.

მისი თქმით, ევროკავშირის ლიდერებმა ლუკაშენკოსთან ყოველგვარი კონტაქტისგან თავი უნდა შეიკავონ. ამასთან, ტიხანოვსკაიას განმარტებით, ის აცნობიერებს, რომ მერკელი ლუკაშენკოს „საზღვრებზე სიტუაციის დეესკალაციის მიზნით“ ესაუბრა.



აღნიშნული კომენტარის შემდეგ ანგელა მერკელი სვეტლანა ტიხანოვსკაიას ტელეფონით ესაუბრა.

გერმანიის მთავრობის პრესსპიკერის, შტეფან ზიბერტის განცხადებით, კანცლერმა ხაზი გაუსვა ფედერალური მთავრობის მუდმივ მხარდაჭერას ბელარუსის დემოკრატიული მოძრაობის მიმართ და აღნიშნა, რომ ლუკაშენკოს მთავრობამ ოპოზიციისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტების წინააღმდეგ ზეწოლის განხორციელება უნდა შეწყვიტოს და პოლიტპატიმრები გაათავისუფლოს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას ალექსანდრე ლუკაშენკომ და ანგელა მერკელმა ტელეფონით ორჯერ ისაუბრეს და ბელარუსი-პოლონეთის საზღვარზე არსებული კრიზისი განიხილეს.

# ნიდერლანდების პრემიერმა კოვიდ-შეზღუდვების მოწინააღმდეგეებს იდიოტები უწოდა

ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრმა, მარკ რუტემ, კოვიდ-შეზღუდვების მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც მასშტაბური აქციები გამართეს, იდიოტები უწოდა.




— ეს სუფთა ძალადობაა, რომელიც პროტესტით იყო შენიღბული. საზოგადოებაში დიდი მღელვარებაა, რადგან ამდენი ხანია საქმე კორონავირუსით გამოწვეულ უბედურებასთან გვაქვს. თუმცა, მე არასდროს მივიღებ იდიოტებს, რომლებიც ძალადობას მიმართავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბედნიერები არ არიან, — განაცხადა მან.

ნიდერლანდებში კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვები 19-22 ნოემბერს ათასობით ადამიანმა გააპროტესტა.

მომიტინგეებმა რამდენიმე ადგილას ხანძარი გააჩინეს, სამართალდამცავებს კი ქვები დაუშინეს.

აქციების დროს 100-ზე მეტი ადამიანი დააკავეს.

ნიდერლანდებში, ახალი რეგულაციების მიხედვით, ბარები, რესტორნები და სუპერმარკეტები 20:00 საათზე იკეტება, მაღაზიები კი 18:00 საათამდე მუშაობენ.

# ისრაელში 5-11 წლის ბავშვების კოვიდზე ვაქცინირება დაიწყო



ისრაელში 5-11 წლის ასაკის ბავშვების კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაცია დაიწყო.

ისრაელის 9.4-მილიონიანი მოსახლეობიდან 1.2 მილიონს აღნიშნული ასაკის ბავშვები შეადგენენ. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ნოემბრის სტატისტიკით ამ ასაკობრივ ჯგუფზე ინფიცირების შემთხვევების მესამედზე მეტი მოდის.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე, ისრაელში კორონავირუსით ინფიცირების 1.3 მილიონი შემთხვევა გამოვლინდა. გარდაიცვალა 8.000-ზე მეტი ადამიანი. ისრაელის მოსახლეობის დაახლოებით 57% სრულად ვაქცინირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიღებული აქვთ ვაქცინის მესამე დოზა, ან მეორე დოზის მიღებიდან ჯერჯერობით 5 თვე არ გასულა.

ისრაელში დაინფიცირების ყოველდღიური შემთხვევები ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაიზარდა.

დადასტურებული შემთხვევების ნახევარი 11 წლის და უმცროსი ასაკის ბავშვებში ფიქსირდება.

# ბულგარეთში ავტობუსი დაიწვა

## 45 ადამიანი დაიღუპა



ბულგარეთის დასავლეთ ნაწილში, ავტომაგისტრალზე მოძრავ სამგზავრო ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა, დაღუპულია მინიმუმ 45 ადამიანი.

დაღუპულებს შორის ბავშვებიც არიან. ამასთან, 7 ადამიანი სხვადასხვა სახის დამწვრობით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამგზავრო ავტობუსს ჩრდილოეთ მაკედონიის სანომრე ნიშნები ჰქონდა და დაღუპულებისა და დაშავებულების უმეტესობა ჩრდილოეთ მაკედონიიდან არის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბანკების მოგება ერთ თვეში 53.671 მლნ ლარით შემცირდა

2021 წლის ოქტომბერში კომერციულმა ბანკებმა 117,488 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს, ეს კი სექტემბერთან შედარებით – 53,671 მლნ ლარით; წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კი 4,970 მლნ ლარით ნაკლებია. შარშან ოქტომბერში ბანკების წმინდა მოგება 166,189 მლნ ლარი იყო.

2021 წელს მიღებული წმინდა მოგება თვეების მიხედვით:

იანვარი – 113,368 მლნ ლარი; თებერვალი – 132,115 მლნ ლარი; მარტი – 166,324 მლნ ლარი; აპრილი – 173,071 მლნ ლარი; მაისი – 180,117 მლნ ლარი; ივნისი – 294,628 მლნ ლარი; ივლისი – 177,956 მლნ ლარი; აგვისტო – 233,123 მლნ ლარი; სექტემბერი – 171,159 მლნ ლარი; ოქტომბერი – 117,488 მლნ ლარი.

ამასთან, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის ოქტომბერში კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 472,428 მლნ ლარი, საიდანაც საპროცენტო შემოსავლები იყო 400,477 მლნ ლარი. ოქტომბერში კომერციული ბანკების ხარჯებმა 337,052 მლნ ლარი შეადგინა.

ამავე სტატისტიკით, ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5,870 მლნ ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ 34,312 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვეში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 36,349 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს.

ცნობისთვის, გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 99,262 მლნ ლარი შეადგინა. ეს იყო მოგების ყველაზე მცირე მაჩვენებელი, რაც ბანკებს ბოლო წლებში ჰქონდათ მიღებული. ამის მიზეზი კი, კორონავირუსის პანდემიის პირველი თვე იყო, როდესაც ბანკებს სესხების მასობრივი გადავადება მოუწიათ. შესაბამისად, 2020 წლის მარტში ბანკები 943,130 მლნ-იან ზარალზე გავიდნენ. თუმცა, მას შემდეგ, კომერციული ბანკები წაგებაზე არ გასულან.

სპორტი

# ლეო მესი: „მინდა, ისევ ფინალში ვითამაშო და ახალ მიზანს მივაღწიო“

## „ბარსელონაში აუცილებლად დავბრუნდები“

**მალე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელსა და თანამედროვეობის უკაშკაშეს ვარსკვლავ ლიონელ მესის ლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირობისთვის პიჩიჩის ჯილდო გადაეცემა. ეს ლეოსთვის ზედიზედ მე-5, სულ კი მე-8 პიჩიჩია. ეს რეკორდია. წელს პირველად მოხდება, რომ მესი ჯილდოს სხვა ქვეყანაში ჩაიბარებს. მესი პარიზში თამაშობს, პიჩიჩი კი ესპანური გამოცემა მარკას მიერ არის დაწესებული. ორგანიზატორები არგენტინელს პარიზში ეწვივნენ და ინტერვიუც ჩაწერეს.**

***— მე-8 პიჩიჩი, ესპანეთის ჩემპიონატის აბსოლუტური რეკორდი.***

— ამდენი პიჩიჩის ჯილდოს მოგება დაუჯერებელია. ტელმო სარას 6 ჯილდოს მიღწევა სიგიჟე ჩანდა და კიდევ უფრო დიდი სიგიჟე იყო ამ შედეგის გაუმჯობესება. ეს რაღაც განსაკუთრებულია.

***— ლა ლიგა დატოვე, მაგრამ ინარჩუნებ ამ და კიდევ ბევრ რეკორდს, რომელთა დამხობაც შეუძლებელი მოჩანს, ასე არ ფიქრობ?***

— ახლა, პარიზში ყოფნის დროს, ამაზე ვერ ვფიქრობ, რადგან ყოველ 3 დღეში ერთხელ თამაში გვაქვს. როდესაც კარიერას დავასრულებ და თვალს გადავავლებ ყველა იმ რეკორდს, რომელიც დამიმყარებია, მათ რეალურად დაფასებას დავიწყებ. ამ რეკორდებისთვის თვალის გადავლება განსაკუთრებული რამ იქნება.

***— როგორც ვხედავ, პარიზში ადაპტაცია გაიარე. ახალი სახლი, ბავშვების სკოლის საკითხიც მოგვარებულია, ადაპტაცია გაიარა ანტონელამაც.***

— ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ახალ სახლში გადმოსვლის შემდეგ ადაპტაცია სრულად გავიარეთ, ბავშვებიც სკოლასა და ყოველდღიურ რუტინას დაუბრუნდნენ. საკვალიფიკაციო თამაშების გამო არგენტინაში მოგზაურობა ხშირად მიწევდა, რაც პსჟ-სთვის სრულ ფორმაში ყოფნაში ხელს მიშლიდა, მაგრამ ახლა ყველაფერი დალაგდა.

***— როგორ არიან ბავშვები, დაიწყეს ფრანგულის სწავლა?***

— ეს უფრო მარტივი გამოდგა, ვიდრე თავიდან გვეგონა. ბევრს ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ გაუჭირდებოდათ. საბოლოოდ კი, ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. ისინი უკვე სკოლაში დადიან და ფრანგულსაც სწრაფად სწავლობენ. როდესაც საქმე სწავლას ეხება, ბავშვები უფრო სწრაფები არიან. ამან დაგვამშვიდა ანტონელაც და მეც. დავინახეთ, რომ ბავშვები ახალ ქალაქთან და ქვეყანასთან ადაპტაციას ძალიან სწრაფად გადიან.

***— როდესაც გუნდში მესი, მბაპე, ნეიმარი და სხვა ვარსკვლავები არიან, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ პსჟ ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტია?***

— ყველა ამბობს, რომ ჩვენი გუნდი მთავარი ფავორიტია და ვერ უარვყოფ, რომ კანდიდატებს შორის შევდივართ, მაგრამ თუ გვინდა, ნამდვილად ძლიერი გუნდი ვიყოთ, კიდევ უნდა მოვუმატოთ. გუნდურობა მეტად უნდა დაიხვეწოს და გაგვიმართლა, რომ საამისოდ მაღალი დონის ფეხბურთელები გვყავს. თუმცა, ფავორიტთა შორის მარტო არ ვართ და სხვა გუნდებიც არიან. ჩემპიონთა ლიგა ძალიან რთული ტურნირია, რაც მას ასე მიმზიდველს ხდის. აქ საუკეთესოები არიან და ტურნირის მოგება უფრო და უფრო რთული ხდება. დიახ, ჩვენ ფავორიტები ვართ, მაგრამ ასეთები არიან სხვებიც.

***— კიდევ ვის მიიჩნევთ ფავორიტებად?***

— დღეს ძალიან კარგია ლივერპული. ამ გუნდმა ის დონე დაიბრუნა, რომლითაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. უნდა გამოვყოთ სიტი, ბაიერნი, რეალი, ატლეტიკო... ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლა ბევრ გუნდს შეუძლია. წლევანდელი გათამაშება ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა, რისი მიზეზიც ისაა, რომ ფავორიტთა შორის ბევრი გუნდია.

***— ესპანურ გუნდებს აქვთ შანსი?***

— რეალი ყოველთვის კონკურენტუნარიანია. არ უნდა დავივიწყოთ არც ატლეტიკო. ამ 2 გუნდს ბრძოლა შეუძლია. როდესაც საქმე 2-რაუნდიან დაპირისპირებას ეხება, ისინი ძალიან რთული მეტოქეები არიან, ტურნირს ძალიან კარგად იცნობენ და იციან, როგორ უნდა ითამაშონ. ეჭვგარეშეა, ისინი ფავორიტები არიან. ბარსელონა განახლების რთულ პერიოდს გადის და გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. დღესდღეობით ბარსელონაზე უკეთესი გუნდები არიან, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბარსა ვერ იბრძოლებს. არ უნდა დავივიწყოთ ჩავის ფაქტორი. მან გუნდში ილუზიები დააბრუნა და მას აქვს შესაძლებლობა, ზოგიერთი ფეხბურთელი ისეთ დონეზე ათამაშოს, როგორზეც ახლა ვერ თამაშობენ. ჯგუფში რთული მდგომარეობა აქვს სევილიას, მაგრამ ეს

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

საზოგადოება

# დავით სერგეენკო: „გაზაფხულიდან დღემდე 3.400 ადამიანმა დაიწყო მუშაობა და თან შემწეობასაც იღებს“



2019 წლის 1-ელ იანვარს, უკვე შევიდა ძალაში მთავრობის დადგენილება, რომელიც ამბობს, რომ თუკი ადამიანი დაიწყებს მუშაობას, მას სოციალური დახმარება არ მოეხსნება – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით სერგეენკომ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“, სოციალური დახმარების პროგრამაზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ის, რომ ქვეყანაში აღნიშნული სტატუსის მქონე ადამიანთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი ძირითადი კი, სოციალური დახმარების მოხსნაზე გამოცხადებული მორატორიუმია.

„600 000 ადამიანი სოციალური დახმარების მიმღები საქართველოში – პანდემიიდან დაწყებული, დაახლოებით, 200 000-ით გაიზარდა ეს რაოდენობა. ამის მიზეზი არის ის, რომ პანდემიის დაწყებისთანავე, შარშან, ივლისში მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც, გამოცხადდა მორატორიუმი სოციალური დახმარების მოხსნაზე. იქამდე როგორ იყო, ყოველთვიურად ხდებოდა ანალიზი, იმ დადგენილი მეთოდოლოგიით, გარკვეულ რაოდენობას, სადღაც თვეში 3000-ის ფარგლებში, ეხსნებოდა და დაახლოებით ამდენივეს ენიშნებოდა. ეს მორატორიუმი გაგრძელდა, იგივე გადამოწმება, რომელიც გამოიწვევდა მოხსნას დახმარებისას, გაჩერებულია ეს პროცესი. ახალი შედინება ისევ ისე მიდის, როგორც იყო. სწორედ ეს არის ამ ზრდის გამომწვევი მიზეზი.

მეორე, განცხადება სოციალური დახმარების დანიშვნაზე – მთელი ამ წლების განმავლობაში, კუმულირებული რაოდენობა არის 1,2 მლნ, იყო და არის მსურველი ამის. შემდეგი პენსიონერების რაოდენობა – 700 ათასამდე, ეს ცალკე რიცხვი არ არის, ზედდებულია, ანუ პენსიონერებიც არიან და სოციალურად დაუცველებიც. ეს არის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ახლა თვისობრივი, დამერწმუნეთ, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის თუ არა, ძალიან ბევრი ქვეყნის ასეთი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემა გვაქვს შესწავლილი თავის დროზე. ჩვენი არ არის არც ყველაზე კარგი და არც ყველაზე ცუდი. სადღაც, მოსახლეობის 12-13% იყო მოცული ამით, ახლა 16%-მდე ავიდა, ამ ფაქტორების გამო, რაც მე მოგახსენეთ“ – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მისი თქმით, არსებულმა სისტემამ რამდენიმე რეფორმა გაიარა, მთავარი პრობლემა კი ის იყო, რომ ადამიანების აქტიური დასაქმების დემოტივატორი გახდა.

„არსებულმა სისტემამ რამდენიმე რეფორმა გაიარა. მთავარი პრობლემები რომ ვთქვათ, ბევრია, მაგრამ ძირითადად 3 ჯგუფის არის. ერთ-ერთი მათთაგანი არის, რომ ეს სისტემა იყო აქტიური სოციალიზაციის, აქტიური დასაქმების დემოტივატორი. ადამიანებს, რიგი მიზეზების გამო, ერჩივნათ შეენარჩუნებინათ ეს სტატუსი, ვიდრე შედარებით დაბალ და საშუალოანაზღაურებიანი სამუშაო დაეწყოთ.

2019 წლის 1-ელ იანვარს, უკვე შევიდა ძალაში მთავრობის დადგენილება, რომელიც ამბობს, რომ თუკი ადამიანი დაიწყებს მუშაობას, მას სოციალური დახმარება არ მოეხსნება. ეს ამოქმედებულია უკვე, მე დავინტერესდი და წელს გაზაფხულიდან, დაახლოებით, 3400-მა ადამიანმა ისარგებლა ამით. ისინი იღებენ სოციალურ პრივილეგიებს არსებულ ფორმით და თან მუშაობენ. მუშაობის დაწყებით მათ აღარ ეხსნებათ დახმარება.

შემდეგი, რაც პრემიერმა გააჟღერა, ეს არის აქტიური სოციალიზაციის და განლევადი სოციალური დახმარების შემდეგი ეტაპი, რომელიც რატომღაც საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან მცდარად იქნა აღქმული, რომ ახლა უხსნიან ამ 200 000 ადამიანს დახმარებას და აიძულებენ იმუშაონ. ეს ნამდვილად არ არის ასე, ეს არის პარადიგმა, გავრცელებულია – თევზის მიცემას, ჯობია, თევზის დაჭერა ასწავლო. მაგრამ, ეს არ მინდა, რომ ისევ არასწორად გაიგონ. პრემიერის განცხადება არ ნიშნავს, რომ ახლა მათ დახმარება მოეხსნებათ. პირიქით, მან ხაზი გაუსვა, რომ შეუნარჩუნდებათ სოციალური დახმარება, როგორც მონეტარული, ისე არამონეტარული პრივილეგიები, იმ შემთხვევაში თუ ისინი იმუშავებენ და პლუს, ჩვენ დავეხმარებით აქტიურ დასაქმებაში. საბოლოო ჯამში, პერსპექტივაში, იმან, ვისაც მუშაობა შეუძლია, უნდა შეძლოს თავისი ოჯახის ღირსეული რჩენა, თავისი გამომუშავებული დოვლათით და არა მხოლოდ სოციალური დახმარებით“ – განაცხადა სერგეენკომ.

# ლეო მესი: „მინდა, ისევ ფინალში ვითამაშო და ახალ მიზანს მივაღწიო“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

კონკურენტუნარიანი გუნდია, რომელსაც მომდევნო ეტაპზე გასვლა შეუძლია.

***– რას გვეტყვით კრიშტიანუ რონალდუს თამაშზე?***

– მანჩესტერ იუნაიტედი დიდებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ძალიან ძლიერი გუნდია. კრიშტიანუ ამ გუნდს უკვე იცნობდა, მაგრამ მას ახალ რეალობასთან ადაპტაცია მაინც დასჭირდა და ამას თავი შესანიშნავად გაართვა. პრემიერ ლიგაში საქმე ისე კარგად არ მისდის, როგორც ვფიქრობდით, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია. დეკემბრის შემდეგ ბევრი რამ იცვლება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***– სიმართლე მითხარით, არ გენატრებათ პორტუგალიელთან დაპირისპირებები?***

– დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ერთ ჩემპიონატში აღარ ვართ. როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად ერთი და იგივე მიზნებისთვის ვიბრძოდით. ეს შესანიშნავი დრო იყო ჩვენთვის და ასევე გულშემატკივრებისთვისაც, რადგან სიამოვნებას ისინიც იღებდნენ. ეს ლამაზი მოგონებაა, რომელიც ფეხბურთის ისტორიას შემორჩება.

***– ნეიმარი, კრიშტიანუ, ლუის სუარესი, ლიონელ მესი... რატომ კარგავს ლა ლიგა ყოველ წელს ახალ ვარსკვლავს და რა უნდა მოხდეს ამის შესაჩერებლად, ან ახალი ვარსკვლავების მოსაზიდად?***

– იმედია, ვარსკვლავები დაბრუნდებიან და ისევ საუკეთესო ლიგა იქნება, როგორც ეს ბოლო 10-15 წლის განმავლობაში იყო. ლა ლიგა მსოფლიოში ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და იმედია, ეს სიტუაცია დაბრუნდება.

***– ვარსკვლავებზე ვსაუბრობთ და... როგორ ფიქრობთ, მბაპე რეალში გადავა?***

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მხოლოდ მან იცის, რა ხდება მის თავში და რა მოხდება მომავალში. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მისი წელს დარჩენით ბედნიერი ვარ. ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენთვის და ჩვენი მიზნებისთვის. ახლა ის მხოლოდ ჩვენს მიზნებზე ფიქრობს, სეზონის ბოლოს კი მომავალზე დაფიქრდება. არ ვიცი, რა მოხდება.

***– ესპანურად კარგად საუბრობს?***

– შესანიშნავად. თუმცა, არამარტო ესპანურად, არამედ ინგლისურადაც და, რა თქმა უნდა, ფრანგულად.

***– როგორია სიტუაცია პსჟ-ს გასახდელში? ამბობენ, რომ ამდენი ვარსკვლავი ერთმანეთს ვერ შეეწყობა.***

– გამიმართლა, რომ გასახდელში ძალიან კარგ ფეხბურთელებთან და ადამიანებთან ერთად მოვხვდი. ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა. ჩემმა ადაპტაციამ ძალიან სწრაფად ჩაიარა. თავიდან ეს ყველაფერი უცნაური იყო. ერთ ადგილზე ამდენი წლის გატარების შემდეგ ახალ ცხოვრებასთან შეჩვევა გიწევს, მაგრამ მეორე მხრივ გამიადვილდა, რადგან აქ ბევრი ნაცნობი ფეხბურთელი დამხვდა, რომლებიც ესპანურად საუბრობენ. აქ ძალიან კარგი ხალხია. შეამჩნევდით, რომ ძალიან მჭიდრო გასახდელი გვაქვს.

***– რას გრძნობ, როდესაც სერხიო რამოსს შენს გასახდელში ხედავ ყველაფერი იმის შემდეგ, რაც თქვენ ესპანეთში გამოიარეთ?***

– ახლა შევეჩვიე, მაგრამ თავიდან უცნაური შეგრძნება იყო, რისი მიზეზიც ჩვენი მრავალწლიანი დაპირისპირებაა. ჩვენ ბარსელონასა და რეალის კაპიტნები ვიყავით, ბევრი „კლასიკო“ ვითამაშეთ, მოედანზე ბევრი ბრძოლა გვქონია... თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ერთმანეთს ყოველთვის პატივს ვცემდით. ეს კარგად ხსნის, თუ რამდენად დიდი იყო „კლასიკოში“ დაპირისპირება.

***– სერხიო ისეთია, როგორიც წარმოგედგინათ?***

– მას აქამდეც ვიცნობდი. აქამდე ხანგრძლივი საუბრები არ გვქონია, მაგრამ ლა ლიგაში ჩვენი გზები არაერთხელ გადაიკვეთა და ბევრჯერ გვისაუბრია. უკვე მქონდა წარმოდგენა, როგორი ადამიანია ის. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ის დიდებული პიროვნებაა.

***– რას შემატებს ჩავი ბარსელონას?***

– ბევრს. ის არის მწვრთნელი, რომელმაც ბევრი რამ იცის, შესანიშნავად იცნობს კლუბს და ამ ქალაქში ბავშვობიდან ცხოვრობს. ჩავი გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებში დიდი პატივისცემით სარგებლობს, ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მწვრთნელი იქნება, რადგან მათ ბევრ რამეს ასწავლის. მასთან ერთად გუნდი ძალიან მოუმატებს, ამაში ეჭვი არ მეპარება.

***– ჩავიმ თქვა, რომ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ სახუმარო შეტყობინება გაუგზავნეთ.***

– ჩავისთან ხშირად ვსაუბრობ. ჩვენ მეგობრები ვართ და ერთმანეთს ბევრ რამეს ვუზიარებთ. გუნდიდან მისი წასვლის შემდეგ კონტაქტი არ გაგვიწყვეტია. ზუსტად არ მახსოვს, რა მივწერე, მივულოცე და წარმატებები ვუსურვე. რა თქმა უნდა, ის საქმეს თავს კარგად გაართმევს, რადგან ბევრი რამ იცის, შრომისმოყვარეა და სახლსაც კარგად იცნობს.

***– ფიქრობ, რომ ბარსელონა კუმანს უსამართლოდ მოექცა? მიგაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებელი მწვრთნელი იყო?***

– მწვრთნელების მიმართ ყოველთვის უსამართლონი ვართ. უსამართლო დამოკიდებულება იყო კუმანის მიმართ, ვალვერდეს მიმართ... როდესაც გუნდი ცუდ შედეგებს აჩვენებს, ყველაზე მარტივი ხელის მწვრთნელისკენ გაშვერაა. კუმანი ძალიან რთულ დროს მოვიდა, როდესაც გუნდი მნიშვნელოვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, თუმცა მან გუნდში არაერთი ახალგაზრდა მოთამაშის ადაპტირება შეძლო. როგორც უკვე ვთქვი, მწვრთნელის დადანაშაულება ყველაზე მარტივია. ეს თავად მწვრთნელებმაც იციან, რადგან ესაა მათი პროფესია.

***– ალვეშის დაბრუნებამ გაგაკვირვათ? რა შეუძლია მან გუნდს შემატოს?***

– დაბრუნებამ ნამდვილად გამაკვირვა, განსაკუთრებით, ახლა. ვფიქრობ, ჩავის მსგავსად, გუნდისთვის ისიც კარგი დანამატი იქნება. მისი გუნდში ყოფნა ახალგაზრდებს გამოადგება. ის მათ დაეხმარება, რადგან გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე ადამიანია. ალვესი ახალგაზრდებს დაეხმარება როგორც თამაშების დროს, ასევე ვარჯიშებზე. ის გუნდს ბევრ რამეს შემატებს მოედანს მიღმაც, რაც თავდადებასა და გამარჯვებისკენ მუდმივ




სწრაფვაში გამოიხატება.

***– ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩარჩენასთან ახლოსაა. ეს გასევდიანებთ?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ბარსელონასთვის ყოველთვის საუკეთესო მინდა. ამ გუნდში არ ვთამაშობ, მაგრამ მისი გულშემატკივარი ვარ. იქ მეგობრები მყავს. მინდა, რომ ისინი კარგად იყვნენ. მართალია, ჩემპიონატში გუნდმა ბევრი ქულა დაკარგა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი ქულაა და ეჭვი არ მეპარება, რომ ბარსელონა ფეხზე წამოდგება და დაბრუნდება.

***– შენი წამოსვლის მიზეზად ფინანსური მხარე დასახელდა. როდესაც უკან იყურები, ხომ არ ფიქრობ, რომ პრეზიდენტ ლაპორტას სხვა მიზეზიც ჰქონდა?***

– არ ვიცი. ვიცი ის, რომ წამოვედი და მას შემდეგ დროც გავიდა. მითხრეს, რომ კონტრაქტს ვერ გამიხანგრძლივებდნენ და უნდა წავსულიყავი. ამის მეტი არაფერი ვიცი. შევეგუე იმას, რაც მითხრეს.

***– ცოტა ხნის წინ ლაპორტამ თქვა, რომ მას თქვენი და ინიესტას დაბრუნების სჯერა. შეგიძლიათ ეს ოცნება რეალობად აქციოთ?***

– როგორც ფეხბურთელს?

***– ეს დაკონკრეტებული არ ყოფილა.***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ გარკვეულ ეტაპზე ბარსელონაში დავბრუნდები, რადგან ეს ჩემი სახლია და იმიტომ, რომ ამ ქალაქში ცხოვრებას ვაპირებ. რა თქმა უნდა, თუ კლუბის დახმარების შესაძლებლობა მომეცემა, სიამოვნებით დავბრუნდები.

***– არგენტინის ნაკრების გამო ბედნიერი იქნებით. გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა და შესანიშნავი წელი დაასრულა.***

– სანაკრებო დონეზე დაუჯერებელი და დაუვიწყარი წელი იყო. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს მივაღწიეთ და კოპა ამერიკა მოვიგეთ. ამ მიღწევამდე ახლოს რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ აქამდე მოგებას ვერ ვახერხებდი. წლის ბოლოს კი მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ და ახლა უფრო შორს წასვლას ვაპირებთ.

***– რა როლი ექნება არგენტინას მსოფლიო ჩემპიონატზე?***

– ახლა ძალიან კარგი გუნდი გვყავს. კოპა ამერიკის მოგება ძალიან დაგვეხმარა, რადგან გუნდი ახლა უფრო თავდაჯერებულია. თუმცა ვიცით, რომ მთავარ ფავორიტებს შორის მოსახვედრად კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს.

***– ამ ტურნირზე იქნება ესპანეთის ნაკრებიც, რომელსაც თქვენი ყოფილი მწვრთნელი ლუის ენრიკე თავკაცობს. რას გვეტყვით ამ ნაკრებზე?***

– ძალიან კარგი გუნდია. როდესაც შემიძლია, თამაშებს თვალს ვადევნებ. გუნდს ენრიკეს ხელი ეტყობა, იგრძნობა, რომ ეს მისი გუნდია. ვინც არ უნდა თამაშობდეს, თავისი საქმე ყველამ იცის. ესპანეთს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რაც ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც გამოჩნდა.

***– მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ესპანეთისა და არგენტინის შეხვედრაზე ხელს მოაწერდით?***

– რა თქმა უნდა. ესპანეთთანაც და სხვა მეტოქესთანაც. მინდა, ფინალში ისევ ვითამაშო და ახალ მიზანსაც მივაღწიო. ამაზე ოცნება არასდროს მტოვებს.

# ფეხბურთის ფედერაციაში წელი შეაფასეს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. კომიტეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად სანაკრებო სეზონი შეაჯამეს და ევრო 2022-ისთვის ფუტსალის ნაკრების მზადების შესახებ იმსჯელეს.

სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეხვედრაზე უეფასთან შეთანხმებით საკლუბო ლიცენზირების პროცესში ცვლილებები დაამტკიცა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში 2022-23 წლების სეზონიდან შევა. ამასთან ერთად აღმასკომმა ლიცენზირების კომიტეტის შემადგენლობა აირჩია.

2022 წელს საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები არსებობის ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ნაკრების მზადების პროცესზე იმსჯელეს. ავთანდილ ასათიანის გუნდი კონტინენტის პირველობამდე ექვს ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ოთხი მატჩი მიმდინარე წლის დეკემბერშია დაგეგმილი, ორი შეხვედრა კი, 2022 წლის იანვარში შედგება.

დავით მუჯირი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:

– შევაფასეთ განვლილი წელი. განვიხილეთ როგორ ეროვნული გუნდის, ასევე ასაკობრივებისა და ქალთა ნაკრებების გამოსვლა. დარჩენილია ეროვნული ლიგის 2 დასკვნითი ტური და საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალები და ფინალი. ცვლილებები გვაქვს უეფას ლიცენზირების საკითხში, რომელიც გაზაფხულიდან შევა ძალაში. კარგია, რომ ეროვნულმა გუნდმა მაჟორულ ნოტაზე დაასრულა სეზონი. ახლა ველოდებით ფუტსალის ნაკრების გამოსვლას ევროპირველობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია მათი მოსამზადებელი ციკლი და იმედი გვაქვს, რომ ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატზე შემდეგ ეტაპზე გასვლითაც გაგვახარებს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 2. ვოინიჩის რომანი; 3. იაპონიაში განთავსებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 4. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 8. შავი ფერის ალმასი; 9. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება; 11. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 12. კომბინაცია პოკერში; 14. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 16. მდინარე თბილისში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. შეძლებული გლეხის სახელწოდება 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში; 21. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 7. ლუდსახარში საქართველოში; 10. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე ლითონი; 13. პატარა ფლეიტა; 15. გულის მოქმედების ნორმალური რითმის დარღვევა; 18. ქართული სადაზღვევო კომპანია; 20. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 20. უბანი ქუთაისში; 23. კოსმოდრომი რუსეთში; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუქანი; 2. სირმა; 3. ღვაწლი; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. სევრი; 11. ტაიფუნი; 15. სუზმარინა; 16. დასინი; 17. კელასური; 19. ეშელონი; 21. ლიქტორი; 22. ალდაგი.

**თარაზულად:** 5. წუწურაქი; 7. ასპინძა; 8. პლისკა; 10. ბეითალი; 12. აიეტი; 13. ურანი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ხარები; 23. ვლტავა; 24. ქისი; 25. ტუნისი; 26. გენი; 27. ხრიდოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუსოლი; 2. ფეოდალი; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. შემოქმედი; 9. დუბლიკატი; 11. ჩაკრულო; 12. ლისი; 14. იდეა; 16. კაპილარი; 17. რიგოლეტო; 19. ქოქოსი; 21. კობრა.

**თარაზულად:** 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. გინესი; 13. ბებუთი; 15. ესტრადა; 18. გაბენი; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. პროტესტი.

## შედეგები

22 ნოემბერი
ფეხბურთი

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-მალიორკა ........ 3:1

**იტალია. სერია ა**

ვერონა-ემპოლი ........ 2:1
ტორინო-უდინეზე ........ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქასიმფაშა-გიოზთეფე ........ 1:1
ტრაბზონი-გაზიანთეპი ........ 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-პანეთოლიკოსი ........ 1:3
ლამიას გოლი ბაჩანა არაბულმა გაიტანა

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

ზაგლებიე-რადომიაკი ........ 0:2
კრაკოვია-ჩენსტოხოვა ........ 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვერესი-მეტალისტი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ოლბორგი ........ 1:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

ნორჩიოპინგი-დიურგარდენი ........ 1:1
იორებრო-კალმარი ........ 1:2
ესტერსუნდი-მიალბი ........ 0:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სოსიედადი ბ-ხირონა ........ 1:2
სარაგოსა-ლეგანესი ........ 0:2

**საფრანგეთი. ლიგა 2**

დიჟონი-ისერი ........ 3:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1134

ევრო — 3.5135

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1841

100 რუსული რუბლი — 4.1938

## ამინდის პროგნოზი 24 ნოემბრისათვის




## სულშერი ფეხბურთელებს დაემშვიდობა



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სულშერი თავის ფეხბურთელებს დაემშვიდობა და თქვა, რომ ის ყოველთვის იამაყებს იმ ფაქტით, რომ ის მანჩესტერის მწვრთნელი იყო.

სულშერის თქმით, მას ესმის, თუ რატომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ის შეეცდება, რომ მომავალ გუნდში უკეთეს შედეგს მიაღწიოს.

ნორვეგიელმა სპეციალისტმა ფეხბურთელებს მომავალში წარმატება უსურვა.

## ხვიჩა კვარაცხელიას რუსეთში აკრიტიკებენ



ყაზანის რუბინის ფორვარდი ხვიჩა კვარაცხელია წლევანდელ სეზონში რუსეთის ჩემპიონატში არცთუ კარგად გამოიყურება და მის ანგარიშზე მხოლოდ 2 შედეგიანი გადაცემაა. ამის გამო რუსული მედია მას ხშირად აკრიტიკებს.

ჟურნალისტები ამბობენ, რომ ხვიჩა აჩრდილია იმის, რაც შარშან იყო. მიუხედავად იმისა, რომ კვარაცხელიამ ნაკრებში, შვედეთის წინააღმდეგ, ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მდინარე, რომელსაც ლუდის სუნი ასდიოდა, მართლაც ალკოჰოლური გამოდგა

ამერიკის ჰავაის შტატის მცხოვრებლებმა გამოიკვლიეს წყალი მდინარე ვაიპიოდან, რომელსაც ლუდის სუნი ასდიოდა და დაადგინეს, რომ ის მართლაც ალკოჰოლური გამოდგა.

ადგილობრივებმა ხელისუფლებას აცნობეს, რომ მდინარეს ლუდის მძაფრი სუნი ასდიოდა.

– ზოგიერთ დღეებში ჩვენ აქ მოვდიოდით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პაბში ვიყავით, რომელიც რამდენიმე დღე კარს არ გვიღებდა, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

აღნიშნული მიზეზის დასადგენად ჩატარებულმა წყლის ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მასში ალკოჰოლის შემცველობა 1,2 პროცენტს შეადგენდა. გარდა ამისა, წყალში აღმოაჩინეს 0,4 პროცენტი შაქარი, რომელიც ლუდის დასამზადებლად გამოიყენება.

შტატის ტრანსპორტის დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ჩაატარეს გამოძიება და დაადგინეს, რომ კომპანია Paradise Beverages-ს ქარხანაში, რომელიც ლუდის ხარშვითაა დაკავებული, გაჟონვას ჰქონდა ადგილი.

კომპანიის წარმომადგენლებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ მათთვის უცნობი იყო, თუ სად შეიძლებოდა მომხდარიყო ალკოჰოლის გაჟონვა, მაგრამ საწყობის დათვალიერების შემდეგ მილიდან გაჟონვა საავტომობილო გზის მახლობლად იქნა აღმოჩენილი. ამ დროისთვის უცნობია, მოხდება თუ არა საქმის განხილვა სასამართლოში მდინარეში ალკოჰოლის ჩაღვრის გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენი ფული გინდა, რომ გქონდეს?

– იმდენი, რომ სპილო ვიყიდო.

– და სპილო რისთვის გინდა?

– სპილო სულაც არ მინდა, უბრალოდ, ფული მინდა იმდენი...

•••

ერთი მეზობელი ხედავს, რომ მეორე მეზობელი სახესა და ტანზე მაზუთს ისვამს და გაკვირვებული ეკითხება:

– რას აკეთებ, ბიჭო?

– განცხადებაში წავიკითხე, შავი მუშები გვჭირდებაო და...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მეგობარს რომ გაუჭირდება, ხომ უნდა დავეხმარო?

– რა თქმა უნდა, შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორი დიასახლისი გამოგადგა რძალი?

– აბა, რა გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მე რომ შენხელა გავხდები, შემეძლება, ის გავაკეთო, რაც მომინდება?

– არა, შვილო, მაშინ უკვე ცოლი გეყოლება...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ახალი დაქორწინებულები რომ ვიყავით, შენთვის ცოტა კერძს იღებდი, მე კი ბევრს მიტოვებდი. რა, აღარ გიყვარვარ?

– როგორ არა, ძვირფასო, უბრალოდ, ახლა უფრო გემრიელ საჭმელს აკეთებ.

•••

ტელეფონი რეკავს, ქალი ყურმილს იღებს, ხანმოკლე საუბრის შემდეგ საყვარელს მიუბრუნდება და ეუბნება:

– ჩემი ქმარი იყო, მითხრა, რომ დააგვიანდება...

– რატომ?

– შენთან არის და პრეფერანსს თამაშობთ.

•••

ცოლი ქმარს:

– აშოტ, ჩაის ახალი პაკეტი რატომ აიღე?

– ძველს ძაფი გაუწყდა.

– მერე, ხელები რისთვის გაქვს, ვერ გადააბი?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გოჩა ჩერტკოევმა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ვეტო გამოიყენა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრმა გოჩა ჩერტკოევმა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ვეტო გამოიყენა.

მორიგი საკონკურსო ტურის დასრულების შემდეგ, გავარდნის კანდიდატებად დასახელდნენ თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი და სალომე ფაჟავა და რატი გაჩეჩილაძე. უკანასკნელი 60-წამიანი დროის ათვლის შემდეგ, გოჩა ჩერტკოევმა ჟიურის დანარჩენი წევრების, პროდიუსერებისა და შოუს ხელმძღვანელების ერთობლივი გადაწყვეტილება მაყურებელს გააცნო – შოუში ყველა მონაწილე დარჩა და ის არავინ დატოვა.

## თამთა გოდუაძე ქართულად ამღერდა



საბერძნეთის ვარსკვლავი თამთა გოდუაძე ქართულად ამღერდა.

პირველად, მისი 17-წლიანი უცხოური კარიერის განმავლობაში, თამთამ თავის ახალ სიმღერაში ქართული ტექსტი გამოიყენა და ამით ქართველი გულშემატკივრის გული კიდევ უფრო მოიგო.

თამთა გოდუაძე საქართველოდან წლების წინ წავიდა. მისი მუსიკალური შესაძლებლობები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ საბერძნეთში, სადაც ის ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. თამთა ქართველმა საზოგადოებამ მაშინ გაიცნო, როდესაც ქართული „იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრის სტატუსით სამშობლოში მოიწვიეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ავსტრალიელი მეხანძრეები კალენდრის გამო გაშიშვლდნენ



ორგანიზაცია FirefightersCalendar-მა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციის მხარდასაჭერად გამოუშვა ყოველწლიური კალენდრების სერია, რომლებზეც მეხანძრეები არიან აღბეჭდილი. ამის თაობაზე ინფორმაცია პროექტის ორგანიზატორმა და ორგანიზაციის დირექტორმა დევიდ როჯერსმა გაავრცელა.

გადაღებებში მონაწილეობა მიიღეს როგორც ქალაქისა და სოფლის სახანძრო სამსახურების თანამშრომლებმა, ისე არმიისა და ავიაციის მეხანძრეებმაც. კალენდრის გვერდებზე მოსახვედრად კონკურენცია ძალიან მაღალი იყო, მეხანძრეებთან ერთად კი ფოტოსესიებში მონაწილეობდნენ ცხოველები, კოალები, კენგურუები, ცხენები, იხვები, კატები და ძაღლები.

გადაღებები 25 დღეს გრძელდებოდა. საერთო ჯამში, ორგანიზატორებმა ხუთი ათასზე მეტი ფოტოსურათი მიიღეს შინაური ცხოველების პატრონებისგან, რომლებიც მათ მოდელებად სთავაზობდნენ. ორგანიზაციის დირექტორის თქმით, საბოლოოდ ფოტოსურათების დახარისხებასა და მონაწილეთა შერჩევას ერთი თვე დასჭირდა.

წელს კალენდარი ექვს ვარიანტად იქნება წარმოდგენილი: ორი კლასიკური და ოთხი, რომლებშიც მეხანძრეები სხვადასხვა ცხოველთან ერთად პოზირებენ.

## მორცხვი ნიანგი წყალში დაიხრჩო



ჩინეთის გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიური რაიონის ლიუჩჟოუს ოლქში ნიანგს, რომელიც დაახლოებით 100 კილოგრამს იწონიდა, წყლიდან ხმელეთზე ამოსვლის ეშინოდა და დაიღუპა.

ცხოველის დაღუპვის თაობაზე სოციალურ ქსელებში ნიანგების ფერმის თანამშრომელმა დაწერა.

– ის იყო მორცხვი ნიანგი, რომელმაც წყალში ჩაყვინთა და ზევით აღარ ამოდიოდა, ვინაიდან ყველაფრის ეშინოდა. საბოლოოდ ამან სამწუხარო შედეგამდე მიგვიყვანა, – დაწერა კომენტარში ფერმის თანამშრომელმა და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველად ნახა ცხოვრებაში, თუ როგორ დაიხრჩო ნიანგი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



24 ნოემბრისათვის

**ვერძი** – ცრუ ინფორმაცია სამსახურში სიტუაციას დაძაბავს. ვიღაცა ცდილობს, ხაფანგი დაგიგოთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. წარმატება გელით ნებისმიერ საქმეში, ასევე – პირად ცხოვრებაში. **ტყუპები** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. გამოიჩინეთ ინიციატივა და კეთილგონიერება. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. წარმატებას მხოლოდ ძველი საქმეების დამთავრება მოგიტანთ. **ლომი** – წინდაუხედავი მოქმედებები დაგაზარალებთ. ინტუიციას დღეს ნუ მიენდობით. **ქალწული** – საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. მოთმინება გმართებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობისას. **სასწორი** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ყველაფერში ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ფიზიკური დატვირთვა გეკრძალებათ. ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **მშვილდოსანი** – საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. პლანეტები გირჩევენ, პრიორიტეტები სწორად განსაზღვროთ. **თხის რქა** – სიზმარი წინასწარმეტყველური იქნება. ემოციები მოთოკეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** – პოზიტიური დღეა როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **თევზები** – საქმიან პარტნიორებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. ეცადეთ, მცირეოდენი წვრილმანიც კი არ გამოგეპაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 2. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 3. „ფიატის“ დამფუძნებელი; 4. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 12. დედამიწის ქერქის მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 17. ქართველი შტანგისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 21. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 22. ტკბილი კარტოფილი.

**თარაზულად:** 5. ქალაქი აშშ-ში, სადაც პირველი დისნეი-ლენდი გაიხსნა; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 13. ფულის ერთეული პოლონეთში; 14. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი ფშავ-ხევსურეთში; 20. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 23. შარლ გუნოს ოპერა; 24. მსუბუქი, ფოროვანი სამშენებლო მინერალი; 25. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 26. სამკითხაო ბანქო; 27. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია „კოკა-კოლას“ სათავო ოფისი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

